საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური დიპლომატია

გზამკვლევი
ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე დიპლომატებისთვის

2014

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს კომერციული დიპლომატიის გზამკვლევს და განკუთვნილია სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე დიპლომატებისთვის, ასევე მათთვის, ვინც სამომავლოდ დიპლომატიურ სასწავლო ცენტრში წარუძღვება აღნიშნულ თემაზე სალექციო კურსს.

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო დაეხმარება დიპლომატებს ეკონომიკური საქმიანობის წარმატებით შესრულებაში. წიგნი მოიცავს ინფორმაციას ეკონომიკური რეფორმებისა და მათი მახასიათებლების შესახებ, სავაჭრო რეჟიმებსა და ვაჭრობის პოლიტიკის პროცედურებზე, იმპორტ-ექსპორტის პოლიტიკასა და ტექნიკურ რეგულაციებზე, უცხოური ინვესტიციების რეჟიმებზე და სხვა. სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითები საერთაშორისო კომერციული დავების მოგვარების შესახებ და ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის წესებზე. წიგნის ბოლოს მაგალითისთვის მოყვანილია 2013 წლის ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა და საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში. ასევე მითითებულია ის ბმულები, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს შეეძლება ინფორმაცია მიიღოს განახლებულ სტატისტიკურ მონაცემებზე. სახელმძღვანელოს ოფიციალური პრეზენტაციის შემდეგ, მისი ელექტრონული ვერსია განთავსდება დიპლომატიური სასწავლო ცენტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე და იქნება მუდმივად განახლებადი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სასწავლო ცენტრის სახელით განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით აშშ-ის კომერციის დეპარტამენტს, კომერციული სამართლის განვითარების პროგრამას (CLDP) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კომერციული დიპლომატიისა და მსოფლიო ვაჭრობის პროგრამის მხარდაჭერისთვის და აღნიშნული სახელმძღვანელოს შემუშავებასა და მის დაბეჭდვაში ფინანსური თანადგომისთვის. მინდა ხაზი გავუსვა კომერციული დიპლომატიისა და მსოფლიო ვაჭრობის პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების აქტიურ ჩართულობას სახელმძღვანელოზე მუშაობისას და თბილისში ჩატარებული სემინარების წარმატებაში მათ მიერ შეტანილ წვლილს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი აშშ-ის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის თანამშრომლებს, საქართველოში ამერიკის საელჩოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს, რომლებმაც დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის.

მაია ყიფშიძე
დირექტორი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

სარჩევი

შესავალი 4

თავი I. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის წესი 6

თავი II. ვაჭრობის პოლიტიკა 12
2.1 ეკონომიკური რეფორმები 13
2.1.1 რეფორმების ძირითადი მახასიათებლები 13
2.1.2 ლიბერალური საგადასახადო და საბაჟო რეფორმა 13
2.1.3 ახალი საგადასახადო კოდექსი 14
2.1.4 ლიცენზიებისა და ნებართვების მოდერნიზებული სისტემა 14
2.1.5 ტექნიკური რეგულირების/ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის რეფორმირება 15
2.1.6 ინფრასტრუქტურა 16
2.1.7 ტურიზმი 17
2.1.8 პრივატიზაცია 17
2.2 სავაჭრო რეჟიმები 18
2.2.1 ინსტიტუციონალური ჩარჩო 18
2.2.2 სავაჭრო რეჟიმები და სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები 18
2.2.3 სავაჭრო შეთანხმებები და მრავალმხრივი სავაჭრო ორგანიზაციები 20
2.2.4 საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი საკონმდებლო ბაზა 24
2.3 ვაჭრობის პოლიტიკა 26
2.3.1 საბაჟო პროცედურები 26
2.3.2 სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე 28
2.3.3 საგადასახადო პოლიტიკა ექსპორტზე 29
2.3.4 ირიბი გადასახადები იმპორტზე 29
2.3.5 იმპორტ-ექსპორტის არასატარიფო რეგულირება 30
2.3.6 ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა 31
2.3.7 ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები 32
ტექნიკური რეგულირება 32
სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები 33
სავაჭრო ზომები საგარეო ვაჭრობაში 34
ინტელექტუალური საკუთრებისა უფლებების დაცვა 35
2.4 უცხოური ინვესტიციების რეჟიმი 36
დასკვნა 38

თავი III. საერთაშორისო კომერციული დავების მოგვარება 39

თავი IV. ზოგადი სტატისტიკა საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში 49
გამოყენებული მასალები 58

დანართი 1,2,3 59

შესავალი

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში ეკონომიკური დიპლომატია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების შესრულების ხელშემწყობ მნიშვნელოვან მექანიზმად ყალიბდება. საქართველოში ეკონომიკური დიპლომატიის წარმოება ხორციელდება მთავრობის ყველა შესაბამისი უწყებისა და ქვედანაყოფის შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმდებით, რომლის საქართველოს ფარგლებს გარეთ მაქსიმალურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ეკონომიკურ დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა იმ ტიპის ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც ქვეყნის განვითარების შედეგების მოსახლეობის ყველა ფენისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს. მას განსაკუთრებული როლი ეკისრება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის საქმეში. დიპლომატიური სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს საერთაშორისო არენაზე საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებისა და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს წარმოჩენას, უცხოური საინვესტიციო კაპიტალისა და ტექნიკური დახმარების მოზიდვას, საერთაშორისო პროექტებში ქვეყნის აქტიურ ჩართვას, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო სატრანსპორტო, ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციას, ქართული პროდუქციისათვის პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნას და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას.

ქვეყნის წინაშე მდგარი, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ასევე მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკითხების გადაჭრის, ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისა და ტექნიკური დახმარების მოზიდვის მიზნით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სავაჭრო-ეკონომიკური პროფილის სტრუქტურებთან და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფექტური თანამშრომლობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ამოცანაა, საერთაშორისო თანამშრომლობის ხსენებულ ფორუმებში აქტიური მონაწილეობის გზით, ჩაერთოს მსოფლიოში გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებზე მიმდინარე დიალოგში, ასევე ეფექტურად გაიზიაროს საერთაშორისო გამოცდილება ეროვნული ეკონომიკის შემდგომი მოდერნიზაციისა და მოწინავე ბაზრების ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმების დანერგვის კუთხით. ეს ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის მიმდინარე პროცესისაგან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღებისაკენ და გლობალიზაციის ზოგიერთი მოსალოდნელი ნეგატიური ეფექტის დროული პროგნოზირებისაკენ.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტია ადგილობრივი წარმოების განვითარების პარალელურად, მსოფლიოს ლიბერალურ ბაზრებთან ინტეგრაცია, მათ შორის, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების დამყარების გზით. მო-

მავალი წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდწილად იქნება დამოკიდებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის სრულად და დროულად ამოქმედებაზე, ასევე, აშშ-სთან და სხვა მნიშვნელოვან ბაზრებთან თავისუფალი ვაჭრობის დამყარების პერსპექტივის რეალიზაციაზე.

ამ ამოცანათა გადასაჭრელად მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობის გაღრმავება დონორ ქვეყნებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, მოზიდულ იქნას ამ ღონისძიებათა უზრუნველყოფის დამატებითი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები.

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ქართულ ბაზარზე უცხოური კომპანიების აქტიური შემოსვლა, ასევე ქართული კომპანიებისათვის საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული ფუნქციონირების ხელშეწყობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების ამოცანაა, ყოველდღიურ რეჟიმში იყვნენ ჩართული ხსენებული ორივე მიმართულების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელთა შემდგომი გაღრმავება უნდა განხორციელდეს, როგორც ორმხრივი ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობით, ასევე ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გაჩენილი ახალი შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების გზით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფთა აქტიური მონაწილეობა სამთავრობათაშორისო ერთობლივ ეკონომიკურ კომისიებში და ბიზნეს-ფორუმებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოსთან ორმხრივი ეკონომიკური კომისიებისა და კომიტეტების შექმნის სურვილის მქონე ქვეყნების რიცხვი ყოველ წელს იზრდება.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ხელშესაწყობად, საგარეო საქმეთა სამინისტროში განხორციელდა სტრუქტურული ოპტიმიზაცია, რომლის ფარგლებში, საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ამოცანებზე უფრო მკაფიო ფოკუსირების მისაღწევად, ცალკე ჩამოყალიბდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი. ახალი სტრუქტურის მთავარ სამოქმედო პრიორიტეტებს წარმოადგენს ერთი მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ექსპორტის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, მრავალმხრივი და რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, ასევე, ეკონომიკური დიპლომატიის წარმოებისას, მთავრობის ყველა შესაბამისი უწყებისა და ქვედანაყოფის საზღვარგარეთ შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმდების უზურუნველყოფა.

თავი I

საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ ეკონომიკური დიპლომატიის წარმართვის წესი

საზღვარგარეთ საქართველოს ეკონომიკური ხასიათის საკითხების დამუშავებას ახორციელებს დიპლომატიურ მისიაში არსებული ეკონომიკური სამსახური, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებათა ხელშეწყობა ადგილსამყოფელ ქვეყნებში. სამსახურს ხელმძღვანელობს დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი – ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი (ადგილსამყოფელი ქვეყნის სფეციფიკის და ამ ქვეყანაში დიპლომატიური მისიის ხელთ არსებული ადამიანური თუ ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, ეკონომიკურ საკითხებზე პასუხუსმგებელი პირის თანამდებობა სასურველია განისაზღვროს არანაკლებ მრჩევლის დონით).

აღნიშნული პირი ეკონომიკის სფეროში საქმიანობას წარმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს/დიპლომატიური მისიის მიერ მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების ფარგლებში. იგი იმყოფება დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის უშუალო დაქვემდებარებაში და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელ პირს გააჩნია პერიოდული კონტაქტები საქართველოს სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროების შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფ(ებ)თან. მისი საქმიანობის ზოგად კოორდინაციას ახორციელებს საგარეო საქმეთა სამინისტრო *(საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი).*

ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებია:

– ადგილსამყოფელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების გზების შესწავლა
– ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური ხასიათის კანონმდებლობის შესწავლა, ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებისა და ეკონომიკური რეგულირების მეთოდების ანალიზი
– ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი და სავაჭრო ურთიერთობებში არსებული ბარიერების შესწავლა

– ადგილობრივი ბაზარის საექსპორტო პოტენციალის დადგენა და საქართველოში დაინტერესებული კომპანიების ინფორმირების მიზნით, სათანადო რეკომენდაციების მოწოდება
– შესაძლებლობების ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის ქართული წარმოშობის სუბიექტთა ინტერესების დაცვა ადგილზე
– ადგილსამყოფელი ქვეყნის ინვესტორებთან ურთიერთობა, ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით
– ეკონომიკის სხვა და სხვა სფეროებში (ტურიზმი, ტრანსპორტი, ვაჭრობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა) ურთიერთობების გაღრმავება
– საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოტენციალის, ქართული წარმოშობის პროდუქციის, საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ გამოფენა-ბაზრობების, სემინარების, ბიზნეს–ფორუმების ორგანიზების ხელშეწყობა
– სამთავრობო თუ საქმიანი სექტორის წარმომადგენელთა ვიზიტების ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა
– სხვა საქმიანობა, რომელიც ორმხრივი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების განხორცელებას

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებში დანიშნული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ ეკონომიკური საკითხების დამუშავების წესის შესახებ

ინსტრუქცია

დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლამდე დიპლომატიური თანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს ეკონომიკური საკითხების დამუშავება, უნდა:

– იცნობდეს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას და განვითარების პრიორიტეტებს
– ფლობდეს ზოგად ინფორმაციას მისი მომავალი ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ, მათ შორის აღნიშნული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგომარეობას და ძირითად მიმართულებებს
– გაეცნოს და დაამყაროს პირადი კონტაქტები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკური სფეროს ორგანიზაციების/უწყებების შესაბამისი დონის პირებთან
– შეისწავლოს აღნიშნული ქვეყნის საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის დონე, უპირველეს ყოვლის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა (როგორც ისტორიულად, ისე ბოლო წლების განმავლობაში), ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა

და წილი ვაჭრობის მოცულობაში; ინფორმაცია საქართველოდან ექსპორტის ხელშეწყობის მეთოდებისა და ამ მხრივ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ

– შეძლებისდაგვარად, გამართოს შეხვედრები როგორც საქართველოდან დანიშნულების ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის, ისე სხვა პოტენციურ მწარმოებლებთან/ექსპორტიორებთან (მწარმოებელთა ასოციაციებთან), გაეცნოს პროდუქციის წარმოებაში და აღნიშნულ ქვეყანაში ექსპორტთან დაკავშირებულ ვითარებას, წარმოებასა და მარკეტინგში არსებულ პრობლემებს, ვაჭრობის ხელშემშლელ ფაქტორებს, გეგმებს, მიიღოს ინფორმაცია დანიშნულების ქვეყანაში პარტნიორების შესახებ (საკონტაქტო პირთა მონაცემებს)
– შეძლებისდაგვარად ჩაატაროს კონსულტაციები საქართველოს კერძო სექტორის დაინტერესებულ წარმომადგენლებთან და დაადგინოს მათი დამოკიდებულება მომავალ ადგილსამყოფელ ქვეყანასთან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებასთან/შემდგომ გაღრმავებასთან დაკავშირებით; მზადყოფნის შემთხვევაში, დააზუსტოს კონკრეტული დაინტერესებული მხარის მიერ ამ მიმართულებით არსებული მიზნები, მათი რეალიზაციის გზები, ვადები და პერსპექტივები
– გააანალიზოს საქართველოში მომავალი ადგილსამყოფელი ქვეყნიდან განხორციელებული ინვესტიციები (მოცულობა, დინამიკა დარგების/სფეროების მიხედვით, ინვესტორთა ჩამონათვალი), შეძლებისდაგვარად, მოიძიოს ცნობები საქართველოში ერთობლივი კაპიტალით შექმნილ საწარმოთა საქმიანობის, აგრეთვე მათი დაფუძნების ტენდენციების შესახებ; დაადგინოს ამგვარი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები
– შეისწავლოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან/წახალისებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის უკანასკნელი დირექტივები, მიზნები, პრიორიტეტული მიმართულებები. აგრეთვე ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში არსებული ხელსაყრელი საკანონმდებლო თუ სხვა პირობები, გაეცნოს საინვესტიციო პროექტებს
– გაეცნოს ორ ქვეყანას შორის როგორც ორმხრივ ისე მრავალმხრივ ფორმატში გაფორმებულ ხელშეკრულებებს (ძირითადად ეკონომიკური ხასიათის) და შეძლებისდაგვარად დაადგინოს არსებული შეთანხმებების როლი ორმხრივი ეკონომიკური კავშირების სრულყოფის პერსპექტივებზე მათი როლისა და გავლენის დადგენის მიზნით
– მოიძიოს (შეძლებისდაგვარად) საქართველოს ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური, საინვესტიციო, უცხოური კომპანიების საქართველოში საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ასლები, სასურველია ინგლისურ ენაზე
– შეაგროვოს ინფორმაცია საქართველოში ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრანსპორტის, სამრეწველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში არსებული ვითარების შესახებ და მიიღოს რეკომენდაციები აღნიშნული სფეროების განვითარების გზებთან დაკავშირებით, მათ შორის მომავალ ადგილსამყოფელ ქვეყანასთან თანამშრომლობის კონტექსტში
– შეძლებისდაგვარად ჩამოაყალიბოს და წარმოადგინოს თავისი ხედვა დიპლომატიურ მისიაში მივლინების პერიოდში, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა, საქართველოს დარგობრივ სამინისტროებთან შეჯერების მიზნით

– ხსენებული ამოცანების ეფექტურად განხორციელებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, გაიაროს სავალდებულო მომზადება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. ამგვარი მომზადების ხანგრძლივობა და შინაარსი წინასწარ იქნება შეთანხმებული საქართველოს საგარეო საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს შორის

დანიშნულების ქვეყანაში მივლინების პერიოდში:

დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლისთანავე:

– გაეცნოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებულ სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებს, რომელთა კომპეტენციაში შედის ვაჭრობის, ბიზნესის, ინვესტიციების, ტურიზმის, თუ ეკონომიკის სხვა მიმართულებებით საქმიანობის წარმართვა
– ადგილობრივი პრაქტიკისა და წესების შესაბამისად, გამართოს გაცნობითი შეხვედრები (შესაძლოა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელთან ერთად) ადგილზე და შეუდგეს პირდაპირი კონტაქტების დამყარებას, ოფიციალურ თუ პირად დონეზე
– გაეცნოს ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოდან მისი მომავალი საქმიანობის პერიოდში საჭირო ინფორმაციის მოპოვების სპეციფიკასა და წესს
– პირადი კონტაქტები დაამყაროს, აგრეთვე, ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებში ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებთან, ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელებთან, სავაჭრო წარმომადგენლებთან
– შეისწავლოს ადგილობრივ ბაზარზე არსებული პირობები (კონიუნქტურა), რაც შეიძლება მოიცავდეს საგადასახადო სისტემის, უცხოური საქონლის (მათ შორის საქართველოდან) აღნიშნულ ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებული პირობების, შესაბამისი ლიცენზირებისა და საბაჟო პროცედურების, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის, ადგილობრივი საინვესტიციო პოლიტიკის, საქართველოსთან სატრანსპორტო კავშირების (საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო) განვითარების მდგომარეობის ანალიზს
– შესაძლებლობების ფარგლებში ჩამოაყალიბოს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში (საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი) წარმოადგინოს წლის სამოქმედო პროგრამა, შემდგომში საქართველოს შესაბამის დარგობრივ უწყებებთან შეჯერების მიზნით
– მოამზადოს და პერიოდულად განაახლოს ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ ზოგადი ინფორმაცია თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი 1)
– შესაძლებლობების ფარგლებში შექმნას საქართველოდან ადგილსამყოფელ ქვეყანაში ექსპორტირებული და ადგილსამყოფელი ქვეყნიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მონაცემთა ბაზა, ექსპორტიორების და იმპორტიორების საკონტაქტო მონაცემების მითითებით
– ქართველი ექსპორტიორების უკეთ ინფორმირების მიზნით, წარმოადგინოს ადგილობრივი ბაზრის მოკლე დახასიათება, რომელშიც მითითებული იქნება ადგილსამყოფელი ქვეყნის, როგორც პოტენციური ბაზრის მნიშვნელობა, მასში ქართუ-

ლი ნაწარმის წილი (კონკურენტულ ქვეყნებთან შედარებებით) და მოთხოვნა მასზე, ქართული პროდუქციის მდგომარეობა ბაზარზე (რომელი პროდუქცია უფრო კონკურენტუნარიანია, არსებობს თუ არა ხელისშემშლელი ფაქტორები და ა.შ.), ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის წილის შემდგომი ზრდის პერსპექტივები, კონკურენტების მარკეტინგული მეთოდები და უპირატესობები, წახალისების ტექნიკა, პროდუქციის დამკვეთი/მიმღები ძირითადი ჯგუფები და დაწესებულებები, ადგილსამყოფელ ქვეყანაში საქართველოს ან ქართული პროდუქციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია და მათგან თავის დაღწევის გზები, ქართველი ექსპორტიორებისთვის რეკომენდაციები ბაზარზე ქართული წილის შემგომ ზრდასთან დაკავშრიებით

– არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადოს და პერიოდულად განაახლოს სავაჭრო და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების (გამოფენები, ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვების, პრეზენტაციების და სხვა) კალენდარი

რეგულარულად:

– მიაწოდოს ადგილსამყოფელი ქვეყნის შესაბამის სახელმწიფო (დარგობრივი სამინისტროები და სააგენტოები) და კერძო უწყებებს (სავაჭრო–სამრეწველო პალატები, ბიზნეს–საკონსულტაციო ცენტრები, ასოციაციები და სხვა) ინფორმაცია საქართველოს მაკროეკონომიკური მონაცემების, საინვესტიციო შესაძლებლობების, ბიზნეს გარემოს, საგადასახადო სისტემის, საექსპორტო პროდუქციის და საინვესტიციო პროექტების შესახებ (ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ელექტრონულადაც)
– აწარმოოს გამართული შეხვედრების საუბრის ჩანაწერები, განხილული პრობლემატიკის შინაარსისა და მიღწეული შედეგების მითითებით; მოახდინოს მიღწეული შედეგების ასახვა სამოქმედო გეგმაში
– თვალყური ადევნოს ადგილობრივ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით ბაზარზე დაშვების პირობებში ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით; სათანადოდ აცნობოს ქართულ მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ
– გაამახვილოს ყურადღება ახალ საინვესტიციო ან სხვა ეკონომიკური ხასიათის პროექტებში ადგილობრივი ქვეყნის მონაწილეობაზე, მოამზადოს ინფორმაცია აღნიშნული პროექტების შესახებ, მონაწილე მხარეთა (ინვესტორთა) მონაწილეობის ფორმების, აღნიშნული მონაწილეობით მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მითითებით; პარალელურად, შეაფასოს ამგვარ პროექტებში ადგილსამყოფელი ქვეყნის მონაწილეობის აქტუალურობა საქართველოსთან თანამშრომლობის კონტექსტში
– შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში გამართულ ეკონომიკური ხასიათის გამოფენებში, ბაზრობებში ოფიციალურ მიღებებსა თუ სხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებებში ქართული მხარის მონაწილეობას და საქართველოს საექსპორტო, საინვესტიციო, ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციას
– გამართოს კონსულტაციები ადგილობრივ იმპორტიორებთან და განიხილოს ორმხრივ ვაჭრობაში არსებული მდგომარეობა, შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივით

– შესაძლებლობების ფარგლებში ყოველკვარტალურად განაახლოს (შეძლებისდაგვარად), საქართველოდან ადგილსამყოფელ ქვეყანაში ექსპორტირებული და ადგილსამყოფელი ქვეყნიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მონაცემთა ბაზა და ექსპორტიორების/იმპორტიორების საკონტაქტო ინფორმაცია
– აქტიურად ჩაერთოს ბიზნეს დელეგაციების ვიზიტების მომზადებაში
– გაუწიოს კოორდინაცია ადგილზე ამგვარი ვიზიტების როგორც მოსამზადებელ ეტაპზე ისე მათი მიმდინარეობის დროს
– შეისწავლოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების საქართველოში დანერგვის შესაძლებლობები
– ყოველდღიურად გაეცნოს (შესაძლებლობების ფარგლებში) ადგილობრივი თუ საერთაშორისო ეკონომიკური ხასიათის პრესას, ყოველკვირეულად მოამზადოს ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეკომენდაციებითურთ, უზრუნველყოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დროული ინფორმირება მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
– პერიოდულად აწარმოოს ადგილობრივ ბაზარზე არსებული სადისტრიბუციო ქსელის შესწავლა
– კვარტალში ერთხელ მოამზადოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოს, წლიური ანგარიში თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი 2); მასში მოცემული უნდა იყოს ადგილობრივ ბაზარზე არსებული საავაჭრო-ეკონომიკური პირობები, მათი ზეგავლენა საქართველოს საექსპორტო სტრატეგიაზე, ინვესტიციების ხელშეწყობის კუთხით ჩატარებული სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის აღწერა და დასახული მიზნების შესრულების დონე, აგრეთვე მომავალ საანგარიშო პერიოდში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და სათანადოდ დასაბუთებული სამოქმედო გეგმა
– ადგილობრივი პოტენციური ინვესტორებისთვის სათანადო საინფორმაციო ბიულეტენის წარმოება და პერიოდულად მისი განახლება, თანდართული ფორმით (დანართი 3)
– პირადი ინიციატივით და/ან საჭიროებისამებრ გამართოს შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში, გატარებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის ჩაბარების მიზნით, მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, სამომავლო გეგმებზე; გარდა ამისა, ქართველ მეწარმეებთან/ექსპორტიორებთან კონსულტაციების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება თავისი მუშაობის გრაფიკში

თავი II

ვაჭრობის პოლიტიკა

შესავალი

დოკუმენტში განხილულია 2000-2013 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობის პოლიტიკის კუთხით განხორციელებული რეფორმები და შედეგები.

ამ რეფორმების შედეგად, საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

რეფორმებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში კონკურენტული საბაზრო პირობებისა და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნას, საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიკაციას და ეკონომიკურ კავშირებს, რამაც ასევე ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდასა და განვითარებას.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ძირითად მიზნებად განისაზღვრა:

- მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია, რაც ითვალისწინებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებით და საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ასევე, მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების დამყარებასა და ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციას
- ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, ექსპორტისა და იმპორტის პროცედურების, სატარიფო და არასატარიფო რეგულაციების გამარტივება
- სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიკაცია, პრეფერენციული რეჟიმების დამყარების გზით, ძირითად სავაჭრო და რეგიონალურ პარტნიორ ქვეყნებთან

განხორციელებული რეფორმების შედეგად, 2013 წელს, 2000 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მიმდინარე ფასებში 350%-ით გაიზარდა და 6 მლრდ ლარიდან 27 მლრდ ლარს მიაღწია.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ 340%-ით გაიზარდა და 1.36 ათასი ლარიდან 5.98 ათას ლარს მიაღწია.

საგარეო ვაჭრობის წილი მშპ-ში 16.7%-დან 40%-მდე გაიზარდა.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 980%-ით გაიზარდა და 1.0 მლრდ. აშშ დოლარიდან 10.8 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია. ექსპორტი 803%-ით გაიზარდა (2.9 მლრდ. აშშ დოლარი), ხოლო იმპორტი – 1001%-ით (7.9 მლრდ. აშშ დოლარი).

2.1 ეკონომიკური რეფორმები

2.1.1 რეფორმის ძირითადი მიმართულებები

საქართველომ ფართო მასშტაბით წარმოადგინა სარეფორმო ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებდა ვაჭრობის რეგულაციების რაციონალიზაციას, ლიბერალიზაციას, გამარტივებას და ასევე მათ იმპლემენტაციას.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის მაქსიმალურ გახსნილობასა და ინსტიტუციონალურ დერეგულაციას, სადაც წამყვანი ძალა იქნება კერძო სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის მდგრად და სტაბილურ ზრდას.

რეფორმების პროგრამის ეფექტიანი განვითარებისათვის განისაზღვრა შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი პრინციპები:

– კორუფციის აღმოფხვრა და ბიუროკრატიული პროცედურების გამჭვირვალობა
– საბაზრო ეკონომიკის პრინციპების სრული დანერგვა
– ლიბერალური სავაჭრო რეფორმები და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაცია
– პოლიტიკურ პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა
– ბიუროკრატიის შემცირება და საჯარო მოხელეების პროფესიული კვალიფიკაციის გაზრდა
– კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობა
– ადამიანის უფლებების დაცვა და პოლიტიკური თავისუფლება

2.1.2 ლიბერალური საგადასახადო და საბაჟო რეფორმა

განხორციელდა საგადასახადო სისტემის გამარტივება და გადასახადების შემცირება. დაინერგა საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების გამარტივებული პროგრამა.

ამჟამად არსებობს მხოლოდ 6 სახის გადასახადი ნაცვლად 21-სა, კერძოდ: მოგების, ქონების, საშემოსავლო, დამატებული ღირებულების, სააქციზო და იმპორტის გადასახადები. საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 20%-ს (ნაცვლად 33%-სა), დამატებული ღირებულების გადასახადი – 18%-ს (ნაცვლად 20%-სა), მოგების გადასახადი – 15%-ს (ნაცვლად 20%-სა).

საქართველომ გააუქმა საიმპორტო გადასახადი საქონლის დაახლოებით 90%-ზე (გარდა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სამშენებლო მასალისა) და საიმპორტო გადასახადების 16 განაკვეთი შეამცირა 3-მდე: 0%, 5% და 12%.

ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის იანვარში, იყო წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი საბაჟო უწყებებში კორუფციის შემცირების, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისკენ. 2008 წელს ეტაპობრივად დაინერგა რისკის მენეჯმენტის სისტემა ყველა საბაჟო პუნქტზე. 2009 წლის 1 იანვრიდან რისკის მენეჯმენტის სისტემასა და რისკის ანალიზზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლი ASYCUDA-ს საბაჟო დეკლარაციების დამუშავების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემა ფარავს იმპორტს, ექსპორტს, საბაჟო საწყობებს და რეექსპორტის ნაწილს. ყველა საბაჟო პუნქტმა მიიღო თანამედროვე სახე.

საბაჟო კუთხით გატარებული ცვლილებების შედეგად ქვეყანამ მიიღო: მკვეთრად გამარტივებული საბაჟო პროცედურები და შემცირებული საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები, რაოდენობრივი შეზღუდვებისგან თავისუფალი იმპორტი და ექსპორტი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბაჟო ტერმინალები.

2.1.3 ახალი საგადასახადო კოდექსი

2011 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა. კოდექსში გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა. შესაბამისად, მეწარმესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ფორმების შეცვლასთან ერთად, დამკვიდრდა მიკრობიზნესის ცნება. შემოღებულ იქნა ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბიზნეს გარემო, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შემდეგი მიდგომების გათვალისწინებით ამოქმედდა:

– ბიზნესის კეთების გამარტივება
– საგადასახადო ტვირთის შემცირება – გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება
– სტაბილური და მდგრადი საგადასახადო გარემოს შექმნა
– „კეთილსინდისიერების“ პრინციპი
– განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმი მიკრო და მცირე ბიზნესისათვის
– სპეციალური სავაჭრო ზონა (სავაჭრო ობიქტების ან/და სავაჭრო ადგილების დაყოფა სეგმენტებად)
– ფიქსირებული გადასახადი

2.1.4 ლიცენზიებისა და ნებართვების მოდერნიზებული სისტემა

გამარტივდა და თანამედროვე სახე მიიღო ბიზნეს-ლიცენზირების სისტემამ. გაუქმდა უამრავი არასაჭირო რეგულაცია, რაც წარმოადგენდა კორუფციის წყაროს.

ბიზნესის კეთებისთვის აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა შემცირდა თითქმის 85%-ით და დაინერგა ბიზნესის ლიცენზირების „ერთი სარკმლის“ და „დუმილი თანხმობაა“ პრინციპები.

2.1.5 ტექნიკური რეგულირების/ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის რეფორმირება

2005 წელს საქართველოს მთავრობამ წამოიწყო სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სისტემების რეფორმა, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების გაუქმებასა და ტექნიკური რეგულირების სფეროს მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ.

სტანდარტიზაციისა და აკრედიტაციების სფეროში განხორციელდა სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ცვლილებები, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკრედიტაციის, ხარისხის კონტროლის, სტანდარტიზაციისა და ტექნიკური რეგლამენტების სისტემა.

ამასთან ერთად, სავალდებულო სერტიფიცირების სისტემას ჩაენაცვლა სტანდარტების ნებაყოფლობითი სისტემა და სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია სტანდარტიზაციის სფეროში მნიშვნელოვნად შემცირდა.

2006 წელს საქართველომ აღიარა და ოფიციალურად დაუშვა ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ტექნიკური რეგლამენტები.

საქართველოს ტექნიკური რეგულირების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანამ მნიშვნელოვნად გაამარტივა ექსპორტისა და იმპორტის პროცედურები.

აღნიშნული სფერო კვლავ რჩება მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად, რაც ითვალისწინებს მისი საერთაშორისიო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას და ამ გზით საგარეო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მეტად შემცირებას.

2012 წელს ჩამოყალიბდა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. სააგენტო ახორციელებს მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების კონტროლსა და ზედამხედველობას, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემას. ობიექტების კონტროლი ხორციელდება ორი სახით: ნებართვის გაცემითა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის სახით და პერიოდული ინსპექტირებით.

2.1.6 ინფრასტრუქტურა

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და პროდუქტიულობის ერთ-ერთი ფაქტორია სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთავრობის მიერ განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და ენერგეტიკის სფეროში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და ახლის შექმნაზე მიმართული ნაბიჯები.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მდგრადობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლებში. დღეს საქართველოში უზრუნველყოფილია 24 საათიანი ელექტრომომარაგება.

მთავრობისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინვესტიციების ჩადება არსებული ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციაში და ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში, ასევე ელექტროგადამცემი ხაზების სიმძლავრეების გაზრდა და მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

არსებული ჰიდროელეტროსადგურების რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის იმპორტის მნიშვნელოვანი შემცირება და ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელება (ზამთრის პერიოდშიც კი).

ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მომავალში უზრუნველყოფს მეტი ელექტროენერგიის გამომუშავებას და მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

საჰაერო ტრანსპორტის ლიბერალიზიის მიზნით საქართველო ახორციელებს „ღია ცის“ პოლიტიკას და თავის პარტნიორებთან ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე მინიმუმამდე დაიყვანა შეზღუდვები მგზავრთა რაოდენობაზე, დანიშნულების ადგილებსა და ფრენების სიხშირეზე.

საავტომობილო მიმოსვლის კუთხით საქართველომ მოახდინა მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია სატრანზიტო გადასახადების, ქვოტებისა და ტრანზიტისათვის სხვა ბარიერების გაუქმების გზით. საზღვაო-სატრანსპორტო პოლიტიკა მიმართულია დასავლეთთან კავშირების დივერსიფიცირებასა და გაძლიერებაზე შავი ზღვის მეშვეობით.

სარკინიგზო სექტორში ტარიფების ლიბერალიზაცია და გაუმჯობესებული მართვა, ასევე საქართველოსა და რეგიონული პარტნიორების დამაკავშირებელი სამომავლო სარკინიგზო პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებული სატრანზიტო დერეფნის, პოპულარიზაციას.

2.1.7 ტურიზმი

ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიაა მსოფლიო მასშტაბით. ტურიზმის განვითარება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს და ტურიზმის სექტორი ზრდას სწრაფი ტემპებით განაგრძობს. პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია. სწორედ მათი მიხედვით ტურიზმის სექტორში როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდას მომავალ წლებშიც განაგრძობს. საქართველოს მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქვეყნის მარკეტინგს, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ავიაკომპანიებისა და სასტუმრო ქსელების მოზიდვას, ტურისტული შეთავაზებების გამრავალფეროვნებასა და სხვა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, აღნიშვნას იმსახურებს საინფორმაციო ცენტრების გახსნა საქართველოს მასშტაბით, სადაც ნებისმიერ ტურისტს შეუძლია უსასყიდოდ მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ტურისტული ობიექტებისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ. ტურისტებისთვის დამატებითი კომფორტის შესაქმნელად ფუნქციონირებს აგრეთვე 24-საათიანი უფასო ცხელი ხაზი (ტელ: 0800 800 909) და ვებ გვერდი www.georgia.travel.

ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად ხორციელდება ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანიები, საქართვლო მასპინძლობს პრეს და გაცნობით ტურებს და მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში.

ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საქართველოს ბაზარზე შემოსული ავიაკომპანიებისა და ახალი რეისების რაოდენობა.

რაც შეეხება განთავსების საშუალებებს, მათი რიცხვი 1060-ს აღემატება (36 431 საწოლი ადგილი). ქვეყანაში ოპერირებს საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები და მოთხოვნის ზრდასთან ერთად მათი რაოდენობაც განუხრელად იზრდება.

2.1.8 პრივატიზაცია

პრივატიზების პროცესი საქართველოში 1993 წელს დაიწყო და მან ძირითადად მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მოიცვა (კომერციული მაღაზიები, შინამეურნეობების დონეზე შექმნილი მომსახურების წერტილები, აფთიაქები და ა.შ.). პრივატიზების ყველაზე აქტიური ფაზა 2004 წელს დაიწყო და 2006 წლის ბოლოსათვის დასრულდა. საქართველოს მთავრობამ ეკონომიკის ყველა სფერო, მათ შორის ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები გახსნა პრივატიზებისათვის. დღეისათვის სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი პრივატიზებულია. ქვეყანაში დამატებითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მთავრობა აპირებს გააგრძელოს პრივატიზების აგრესიული და გამჭვირვალე პროცესი.

მიმდინარე ეტაპზე, ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ, სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა მიმდინარეობს აუქციონის მეშვეობით.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით განკარგვა ხორციელდება ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის მეშვეობით, რის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო ქონების განმკარგავი სუბიექტის ინტერნეტ გვერდზე: www.privatization.ge და ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

2.2 სავაჭრო რეჟიმები

2.2.1 ინსტიტუციონალური ჩარჩო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს, ახორციელებს და კოორდინირებას უწევს სახელმწიფო პოლიტიკას ვაჭრობის სფეროში.

სამინისტრო კოორდინაციას უწევს ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც მუშაობს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სფეროში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი უშუალოდ არის ჩართული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფორმულირებაში. თავისი ყოველდღიური ფუნქციების შესრულებისას დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ პასუხისმგებელ უწყებებთან, სხვა პასუხისმგებელ სამინისტროებთან და კერძო სექტორთან.

2.2.2 სავაჭრო რეჟიმები და სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები

საბაჟო ტარიფის გამოყენების წესების მიხედვით საქართველოს აქვს ჩვეულებრივი (საბაზო) ვაჭრობის რეჟიმი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი.

ჩვეულებრივი ვაჭრობის რეჟიმი გამოიყენება ქვეყნებთან რომელთანაც არ აქვს:

– ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე მოქმედი განსხვავებული სავაჭრო რეჟიმი
– დამყარებული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე განსხვავებული სავაჭრო ურთიერთობები

საქართველოს გააჩნია შემდეგი სახის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები:

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN)
საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (160 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) საფუძველზე.

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP)
პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

2005 წლის ივლისში საქართველო გახდა GSP-ის ახალი სქემის „GSP+“ ბენეფიციარი. ძველი სქემით საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა ევროკავშირის ბაზარზე პრეფერენციული რეჟიმით შეეტანა 6 900 დასახელების საქონელი, რომელთაგან ნულოვანი იყო მხოლოდ 3 300 დასახელების პროდუქცია. „GSP+-ის ბენეფიციარის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველო სარგებლობს უფლებით ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7 200 დასახელებისპროდუქტი.

საქართველო არის ასევე შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის GSP-ის რეჟიმის ბენეფიციარი: **აშშ** (დროებით შეჩერებულია), **იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.**

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი
თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობისას საქონლის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან.

წარმოშობის სერტიფიკატი
სავაჭრო რეჟიმებით მონიჭებული შეღავათების მისაღებად გამოიყენება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც ორი სახისაა პრეფერენციული და არაპრეფერენციული.

საქონლის წარმოშობის სერთიფიკატები გაიცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (http://www.economy.ge), საქართველოს შემოსავლების სამსახურის (http://www.rs.ge), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს http://www.mofea.ge/ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (http://www.gcci.ge) მიერ, გარდა ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებისა, რომელზეც წარმოშობის სერთიფიკატს გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტო http://www.nwa.ge/.

საქონლის ექსპორტის შეღავათიან (პრეფერენციულ) რეჟიმში მოქცევისათვის გაიცემა შემდეგი სახის სერთიფიკატები:

– სერტიფიკატი ფორმა „A“ გაიცემა ქართული წარმოშობის განსაზღვრული სახის საქონელზე, პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის“ მომნიჭებელ ქვეყნებში (აშშ, კანადა, ევროკავშირი, იაპონია, შვეიცარია, ნორვეგია)ექსპორტის დროს
– სერტიფიკატი CT-1 გამოიყენება საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებს შორის ურთიერთვაჭრობისას
– სერტიფიკატი EUR.1 გამოიყენება საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთვაჭრობისას

საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი (Certificate of Origin) გაიცემა:

1. ზემოაღნიშნულ ქვეყნებში საქონლის ექსპორტისას, როდესაც პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის კრიტერიუმებს
2. ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანაში საქონლის ექსპორტისას
3. საქონლის რეექსპორტისას

სერთიფიკატების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

1. ექსპორტიორის განცხადება
2. დეკლარაცია საქონლის წარმოშობისა და კუთვნილების შესახებ
3. კონტრაქტი (ხელშეკრულება)
4. ანგარიშფაქტურა (ინვოისი)

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლებია:

– დაბალი საიმპორტო ტარიფები
– ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიების და ნებართვების მცირე რაოდენობა
– იმპორტსა და ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობა
– ექსპორტისა და რეექსპორტის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლება
– ირიბი გადასახადებისგან ექსპორტის გათავისუფლება
– გამარტივებული საექსპორტო და საიმპორტო პროცედურები

2.2.3 სავაჭრო შეთანხმებები და მრავალმხრივი სავაჭრო ორგანიზაციები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

2000 წლის 14 ივნისს საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება იყო მსოფლიო ვაჭრობაში ინტეგრირებისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საქართველო გახდა ორგანიზაციის რიგით 137-ე წევრი და მეოთხე ყოფილი საბჭოთა ქვეყანა (ყირგიზეთის, ლატვიისა და ესტონეთის შემდგომ), გაწევრიანებული

ვაჭრობის მსიფლიო ორგანიზაციაში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველოს მიენიჭა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN), რომლითაც სარგებლობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა წევრი და საქართველოც თავის მხრივ ანიჭებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს სხვა წევრ ქვეყნებს.

საქართველო არის მიერთებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა შეთანხმებაზე, გარდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებისა (GPA). სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, რომელიც ძალაშია 2006 წლიდან, შესაბამისობაშია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან. მიმდინარეობს პროცესი საქართველოს ამ შეთანხმებაზე მიერთებასთან დაკავშირებით.

დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

საქართველო არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ 1994 წლის 15 აპრილის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე მხარე. შეთანხმება რატიფიცირებულია დსთ-ს ყველა ქვეყნის მიერ, რუსეთის გარდა.

ეს შეთანხმება გახდა დსთ-ს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების საფუძველი. საქართველოს აქვს 8 ორმხრივი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, მოლდოვასთან, უზბეკეთთან და რუსეთთან.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებიდან ამოღებათა ოქმი შედგა მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან და ყაზახეთთან. მოგვიანებით, 2004 წელს, ორმხრივი მოლაპარაკებების შესაბამისად, ყაზახეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფარგლებში, მხარეებმა გააუქმეს ოქმი.

თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

2006 წლიდან თურქეთი საქართველოსთვის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დაიწყო 2007 წლის იანვარში და გაფორმდა 2007 წლის ნოემბერში. შეთანხმება ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ნოემბერს.

შეთანხმების მიხედვით საბაჟო ტარიფები სამრეწველო პროდუქციაზე სრულად გაუქმდა. ორივე ქვეყნის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე შენარჩუნებულია ტარიფი. თურქეთის მხრიდან ასევე ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვრცელდება სატარიფო ქვოტა.

სუამ-ის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

სუამი არის ოთხი ქვეყნის რეგიონალური შეთანხმება (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა). მცირე ხნის განმავლობაში (1999-2005) ორგანიზაციას ეწო-

დებოდა სუუამ-ი უზბეკეთის წევრობის გამო, რომელმაც 2002 წელს განაცხადა ამ ორგანიზაციიდან გამოსვლა, ხოლო მოგვიანებით, 2005 წელს, ოფიციალურად დატოვა აღნიშნული ორგანიზაცია. ამის შემდგომ ორგანიზაცია ეწოდება სუამ-ი.

2006 წლის 22-23 მაისს გამართულ სუამ-ის მორიგ სამიტზე, სუამ-ის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია – დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამ-ი.

სუამ-ის ფარგლებში უწყებათაშორის დონეზე თანამშრომლობის კოორდინაცია ევალება შვიდ სამუშაო ჯგუფს, რომელთაგან ერთ-ერთია ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

ჯგუფი სხვა სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის საკითხებთან ერთად ძირითადად მუშაობს 2002 წელს სუამ-ის ფარგლებში გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმების რეალიზაციის საკითხებზე.

აღნიშნული შეთანხმება უფრო ლიბერალურია, ვიდრე დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და არ ითვალისწინებს გამონაკლისებს თავისუფალი ვაჭრობიდან.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC)

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC) გაწერვიანებულია 12 ქვეყანა. BSEC-ის დამფუძნებელი დოკუმენტის თანახმად, წევრი ქვეყნები თანამშრომლობენ სხვადასხვა სფეროებში: ვაჭრობა და ეკონომიკური თანამშრომლობა, საბანკო სფერო, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და ფარმაცევტიკა, გარემოს დაცვა, ტურიზმი, მეცნიერება და ტექნოლოგიები, ინფორმაციის გაცვლა და სხვა სექტორები.

ევროკავშირი

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირთან ვაჭრობა.

ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი გამყარებულია პარტნიორობისა და თანამშრომობის შესახებ შეთანხმებით, რომელზეც მოლაპარაკებები საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ინტეგრაციას დაემთხვა და დასრულდა 1996 წლის 22 აპრილს, ხოლო ძალაში შევიდა 1999 წელს (10 წლით). შეთანხმების მიზანი გახლდათ გაემარტივებინა თანამშრომლობა არა მხოლოდ სავაჭრო კუთხით, არამედ პოლიტიკური, გარემოს დაცვითი და კულტურული მიმართულებებითაც.

საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, ხელმოწერილი 2006 წლის ნოემბერში, ითვალისწინებს ორმხრივი სავაჭრო ურთიერ-

თობების შემდგომ გაღრმავებასა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაძლო გაფორმებას.

მოლაპარაკებების 6 რაუნდის შედეგად 2013 წლის 22 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA), რომელიც თავის მხრივ ასოცირების შეთანხმების ნაწილია. აღნიშნული შეთანხმებების პარაფირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის დროს, 2013 წლის 29 ნოემბერს განხორციელდა.

ამ შეთანხმებით, მისი ძალაში შესვლის შემდეგ (ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს), საქართველო მიიღებს შესაძლებლობას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში მოახდინოს როგორც საქონლის, ასევე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში.

DCFTA მისცემს შესაძლებლობას ქართველ მეწარმეებს, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავისუფლად შევიდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ბაზარზე, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის ახალ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში.

2008 წლის დეკემბერში ევროკომისიამ გამოაცხადა გეგმა საქართველოსთან (ისევე როგორც სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან) ურთიერთობის გამარტივებისთვის, როგორც ახალ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ნაწილი, რომელიც მოიცავს თანდათანობით ინტეგრაციას ევროკავშირის ეკონომიკაში. ინიციატივა ითვალისწინებს პარტნიორ ქვეყნებთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას.

საქართველოსთვის, როგორც სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) გამოყენების შესაძლებლობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. იგი უზრუნველყოფს პრეფერენციული ტარიფების რეჟიმს საქართველოდან იმპორტირებულ პროდუქციაზე.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის მიერ მინიჭებული GSP სქემით.

2005 წლიდან ევროკავშირმა უზრუნველყო საქართველოსთვის უფრო ფართო შესაძლებლობები ისარგებლოს სატარიფო პრივილეგიებით (GSP+), რაც გულისხმობს დაახლოებით 7200 სახეობის პროდუქციაზე ტარიფის გარეშე იმპორტის შესაძლებლობას.

აშშ

2007 წლის ივნისში საქართველომ და აშშ-მა ხელი მოაწერეს ვაჭრობასა და ინვესტიციების შესახებ ჩარჩო შეთანხმებას (TIFA).

ამ შეთანხმებით იქმნება აშშ-საქართველოს ერთობლივი საბჭო ვაჭრობასა და ინვესტიციებზე, რომელიც მოიცავს ვაჭრობასა და ინვესტიციებზე ფართო სპექტრის საკითხებს, მათ შორის უნარ-ჩვევების ამაღლებას, ინტელექტუალურ საკუთრებას, დასაქმებას და გარემოს დაცვას.

საბჭო ასევე დაეხმარება კომერციული და საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდას საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო და საინვესტიციო წინააღმდეგობების აღმოფხვრის გზით.

აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, რომელსაც ხელი მოეწერა 2009 წელს, თანამშრომლობის ოთხ სფეროს მოიცავს, რომელთაგან ერთ-ერთი ვაჭრობა და ეკონომიკაა.

აღნიშნული დოკუმენტი განიხილავს საქართველო-აშშ შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლო გაფორმებას და ასევე ინვესტიციების ურთიერთდაცვის სფეროში ახალი ორმხრივი შეთანხმების გაფორმების საკითხს.

სხვა შეთანხმებები და ხელშეკრულებები

საქართვლოს 131 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული სსხვადასხვა სახის ორმხრივი შეთანხმება. მათგან 50 ქვეყანასთან გაფორმებულია ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური ხასიათის შეთანხმება.

საქართველო მიერთებულია 480-მდე მრავალმხრივ შეთანხმებასა და საერთაშორისო კონვენციაზე. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი დოკუმენტები:

– სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია
– ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმება
– საერთაშორისო ხელშეკრულება საპატენტო ურთიერთდაცვის შესახებ
– ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ

2.2.4 საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია **საქართველოს საგადასახადო კოდექსი,** რომლის 28-ე თავი განსაზღვრავს იმპორტის დაბეგვრის ობიექტებს, საქონლის საიმპორტო გადასახადების განაკვეთებს, საბაჟო რეჟიმებსა და პროცედურებს, ასევე ზოგიერთი სახის პროდუქციის საიმპორტო გადასახადისაგან გათავისუფლებას და იმპორტთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებს.

ამასთან, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია სააქციზო კონტროლს დაქვემ-დებარებული პროდუქციის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, ასევე იმპორ-ტირებული პროდუქციის დღგ-თი დაბეგვრის ნორმები.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანო-ბის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს და ადგენს თანაბარ არადისკრიმინაციულ ნორმებს ადგილობრივ და უცხო ქვეყნის მეწარმეთა მიმართ.

საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ – აწესრიგებს ლი-ცენზიითა და ნებართვით რეგულირებად სფეროებს და განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, მათ შორის საიმპორტო და საექ-სპორტო პროდუქციის სახეობებს. კანონი ასევე ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი – განსაზღ-ვრავს ეტიკეტირების მოთხოვნებს, რომლის შესაბამისად უზრუნველყოფილია მომ-ხმარებლისთვის აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაციის მიწოდება, რასაც ასევე ექვემდებარება იმპორტირებული პროდუქცია.

კოდექსი ასევე მოიცავს პროდუქციის უსაფრთხოებისადმი ზოგად მოთხოვნებს და მათ შორის შეფუთვის, ნიშანდების და ეტიკეტირების პროდუქციასთან დაკავშირე-ბული პროცესის ან წარმოების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. პროდუქციისთვის და მასთან დაკავშირებული წარმოების მეთოდებისთვის ადგენს წესებს, ზოგად პრინცი-პებს და მახასიათებლებს.

კოდექსი ეფუძნება შემდეგ ზოგად პრინციპებს:

– უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსების უზრუნველყოფა
– სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების უპირატესობა
– ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრ-თხოებისა და გარემოს დასაცავად დაშვება
– შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო სისტემასთან ჰარმონიზებული პროცე-დურების დადგენა
– ხარისხის ინფრასტრუქტურისა და ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითა-რების ხელშეწყობა

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი – ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე პირველად წარ-მოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ვეტერინარიულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

კოდექსით რეგულირდება სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი, ვეტერინარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლი, რომლებიც უკავშირდება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებას (იმპორტი, რეექსპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი).

საქართველოში **ინტელექტუალური საკუთრების** ობიექტების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) შექმნასთან, მათ გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: **საქართველოს საპატენტო კანონი, საქართველოს კანონები „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“.**

საქართველოს კანონი შეაიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ – ადგენს შეიარაღების, სამხედრო დანიშნულების ტექნიკის, ნედლეულის, მასალების, მოწყობილობების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და მათ წარმოება-გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურების საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების საფუძვლებსა და წესს.

საქართველოს კანონი სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ – განსაზღვრავს სასაქონლო ბირჟების (მათი ფილიალების) და სასაქონლო-საბირჟო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და უზრუნველყოფს მათ სამართლებრივ გარანტიებს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N420 – ადგენს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესებს.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ – ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს.

2.3 ვაჭრობის პოლიტიკა

2.3.1 საბაჟო პროცედურები

საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მომსახურების გაუმჯობესებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. დღეს ქვეყნის საბაჟო სამსა-

ხური მუშაობს ე.წ. რისკების მართვის სისტემის გამოყენებით, რომლის ამოქმედებით შემცირებულია ადმინისტრაციული ბარიერები, ბიზნეს-სექტორისათვის გამარტივებულია საბაჟო გაფორმების პროცედურები.

რეფორმის შედეგად რეჟიმების 15 სახეობა 7–მდე შემცირდა:

– საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)
– საქონლის ტრანზიტი
– საბაჟო საწყობებში საქონლის შენახვა
– საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება
– საქონლის დროებითი შემოტანა
– საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება
– საქონლის ექსპორტი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საბაჟო პროცედურები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, მისი აღსრულების მიზნით გამოცემული საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შეიძლება გადაადგილდეს ნებისმიერი სახის საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/გატანა აკრძალული არ არის.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის გათვალისწინებულ საბაჟო პროცედურებს ახორციელებს საქართველოს შემოსავლების სამსახური (www.rs.ge).

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო სატვირთო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო ორგანოებს წარედგინება შემდეგი ძირითადი დოკუმენტები და ინფორმაცია:

– დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დეკლარანტის უფლებამოსილებას წარადგინოს საბაჟო სატვირთო დეკლარაცია
– საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტი (ხელშეკრულება) ან მისი შემცვლელი დოკუმენტი
– ანგარიშფაქტურა ე.წ. „ინვოისი“
– გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის დამადასტურებელი საბუთი;
– სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის გადაადგილების ფაქტს
– საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (იმპორტის დროს)
– კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ საქონელზე შესაბამისობის სერტიფიკატი
– ლიცენზიებსა და ნებართვებს დაქვემდებარებულ საქონლის ექსპორტზე ან იმპორტზე – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია ან ნებართვა

2.3.2 სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე

საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმებულია პროდუქციის დაახლოებით 90%–ზე. აღარ გამოიყენება სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 28-ე თავის შესაბამისად.

ალკოჰოლურ სასმელებზე დადგენილი ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები 0.2 euro/lit-დან 1.5 euro/lit-მდე მერყეობს. სპეციფიკურ დაბეგვრას ექვემდებარება მსუბუქი ავტომობილის იმპორტი. იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

12%-იანი დაბეგვრის რეჟიმში ძირითადად მოქცეულია: ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძის პროდუქტები, კვერცხი, თაფლი, ხილი, ბოსტნეული, ჩაი, ხორბლის ფქვილი, ხორცის მზა ნაწარმი და კონსერვები, ხილბოსტნეულის კონსერვების სახეობები, ხილის წვენები, პლასტმასის ნაწარმის სახეობები, საშენი მასალები, საიუველირო ნაკეთობები და მათი ნაწილები, ხე-ტყის მასალა.

5%-იანი დაბეგვრის რეჟიმში ძირითადად მოქცეულია: ღორის ხორცი, ყველი და ხაჭო, შოკოლადის მზა ნაწარმი, თმის მოვლისა და კოსმეტიკური საშუალებები, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, ზოგიერთი სახის პლასტმასის ნაწარმი, ელექტროკაბელები.

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- საქონლის იმპორტი დსთ-ს ქვეყნებიდან და თურქეთის რესპუბლიკიდან, გარდა რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან ამოღებათა ნუსხაში შეტანილი სასაქონლო პოზიციებისა
- საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით
- იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს
- ფიზიკური პირის მიერ 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის
- საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე

ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის
– ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის
– საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი
– „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი
– 2015 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულის და თამბაქოს მზა ნაწარმის იმპორტი
– საქონლის დროებითი შემოტანა

2.3.3 საგადასახადო პოლიტიკა ექსპორტზე

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი (გარდა ჯართისა) ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, შესაბამისად ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის ექსპორტისათვის დაწესებულია მომსახურების ტარიფი:

– შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) ექსპორტისათვის – 1 ტონაზე 160 ლარის ოდენობით
– შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტისათვის – 1 ტონაზე 40 ლარის ოდენობით
– ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტისათვის – 1 ტონაზე 50 ლარის ოდენობით

2.3.4 ირიბი გადასახადები იმპორტზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია:

– დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – 18%
– აქციზი – ფიქსირებული გადასახადი, დიფერენცირებული საქონლის სახეობის მიხედვით

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188 – ე მუხლის შესაბამისად სააქციზო საქონელს განეკუთვნება:

– ლუდი
– ეთილის სპირტი
– სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები
– თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
– მსუბუქი ავტომობილები
– ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)
– სხვა ნავთობ პროდუქტები

2.3.5 იმპორტ-ექსპორტის არასატარიფო რეგულირება

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის შესაბამისად – საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, ქვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის. კერძოდ, გაიცემა შემდეგი სახის ლიცენზიები და ნებართვები:

– ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა (**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – www.moa.gov.ge)**
– დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზია **(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – www.police.ge)**
– შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა **(საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – www.moe.gov.ge)**
– ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა **(საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – www.moe.gov.ge)**
– იარაღისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვა **(საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – www.mod.gov.ge)**
– ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა **(საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – www.mof.ge);**
– სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა **(საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – www.moh.gov.ge)**
– არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვა **(საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – www.moh.gov.ge)**

– „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა **(საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – www.moe.gov.ge)**

კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის და შემოტანის რეგულაცია ხორციელდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე, „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალება ყოველგვარი რადიაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, ექსპორტი, რეექსპორტი და იმპორტი ნებისმიერი მიზნით.

2.3.6 ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა

ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინვესტიციებისა და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტი. ექსპორტის ხელშეწყობა არ გულისხმობს მთავრობის მიერ მის ხელოვნურად ზრდას, სუბსიდირების და კონკრეტულ სავაჭრო მოლაპარაკებებში ჩარევის გზით. სავაჭრო გარიგებას კერძო სექტორი აღწევს, ვინაიდან იგი თავად არის პროდუქტის მიმწოდებელი. შესაბამისად, ექსპორტის წახალისება მიმართულია მწარმოებელთა უნარ-ჩვევების განვითარებისკენ, რათა მათ დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად შეძლონ ურთიერთობა იმპორტიორთან, აითვისონ ბაზრები და დამკვიდრდნენ ამ ბაზრებზე.

დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ არის ექსპორტის ეროვნული პორტალი www.tradewithgeorgia.com, სადაც რეგისტრირებულია 700-მდე ქართული საექსპორტო პროდუქტი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობისთვის დამახასიათებელია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. წლების განმავლობაში ექსპორტს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 20-30% უკავია.

შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად საქართველოს მთავრობის მიერ ექსპორტის ზრდისკენ მიმართული სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა განისაზღვრა, რომელიც არა მხოლოდ ექსპორტის მოცულობით ზრდას, არამედ ზრდის ხარისხსაც მოიცავს.

ექსპორტის სტრატეგია, როგორც ნებისმიერი ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის განსაზღვრული სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. მაქსიმალური დამატებული ღირებულება საზღვრამდე – გულისხმობს საბოლოო პროდუქტის ექსპორტს ნედლეულის ნაცვლად და შესაბამისად პროდუქტის დამზადებაზე გაწეული ხარჯის მაქსიმალურად შესაძლებელი წილის დატოვებას ქვეყნის ეკონომიკაში.

2. მინიმალური რისკი საზღვარს მიღმა – განხორციელებული ექსპორტი შეიცავს ბევრ რისკ ფაქტორს, მათგან მნიშვნელოვანია ერთჯერადი ექსპორტი და მაღალი კონცენტრაცია ერთ ბაზარზე. და მათი თავიდან აცილება ექსპორტის სტრატეგიის შემადგენელ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების დივერსიფიცირება ამცირებს კოლაფსის რისკს, რამაც შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას და განსაკუთრებით კერძო სექტორს. კოლაფსის ნათელი მაგალითია 2006 წლის რუსეთის ემბარგო ქართულ ღვინოზე, რომლის 78%ზე მეტ წილს სწორედ ეს ერთი ბაზარი ითვისებდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპორტის ხელშეწყობას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინვესტიციებისა და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტი, მისი პრაქტიკული რეალიზაცია კონკრეტული საჯარო ინსტანციის დონეზე რთული პროცესია. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობა გეგმავს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“-ს შექმნას, რომლის ერთერთი ფუნქციაა ადგილობრივი წარმოების განვითარებასთან ერთად ექსპორტის წახალისება იქნება.

2.3.7 ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები
ტექნიკური რეგულირება

საქართველო პრაქტიკულად სრულად ასრულებს ვმო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებას საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული საქონლის შემოსვლისას ზედმეტი ბარიერების მოხსნასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მიუხედავად ამ სფეროში გატარებული რეფორმებისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ქართული პროდუქციის საგარეო ბაზრების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიმართულებით.

საქართველოში სერტიფიცირება ნებაყოფლობითია და სავალდებულო სერტიფიცირება დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში.

ვმო-ს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT) შეთანხმება ავალდებულებს წევრ ქვეყნებს ტექნიკური რეგლამენტების, ნებაყოფლობითი სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მეშვეობით უზრუნველყონ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტანდარტები და შესაბამისობის შეფასების პროცედურები ხშირად უფრო ეფექტიანი ბარიერია ბაზარზე შელწევისათვის ვიდრე ტარიფები და ქვოტები.

ეფექტიანი ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურა საზოგადოების დაცვასა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფასთან ერთად წარმოადგენს წინაპირობას ვაჭრობის განვითარებისთვის.

აღნიშნული მიმართულების შემდგომ განვითარებას საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წელს მიღებული სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში და ამ სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამა (TBT პროგრამა).

2012 წელს ტექნიკური რეგულირების სფეროში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, გაუქმდა ამ სფეროში მოქმედი სხვადასხვა კანონები და ტექნიკური რეგულირების ერთიანმა საერთაშორისო ნორმებმა თავი მოიყარა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში.

ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზების მიზნით გრძელდება ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების ეროვნულ ტექნიკურ რეგლამენტებად მიღების პროცესი.

მიმდინარეობს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება. შემუშავდა და დაინერგა საერთაშორისო სტანდარტის ISO 17025 შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. 2013 წლის იანვარში გერმანიასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ამოქმედდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი და განახლებული ელექტროგაზომვების ეტალონური ლაბორატორია.

2013 წელს აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა – ევროკავშირის TWINNING-ის პროექტში ჩართული ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავა აკრედიტაციის ახალი წესები და პროცედურები.

აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის სისტემა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17011, EA-ს (European Cooperation for Accreditation), ILAC-ის (International Laboratory Accreditation Cooperation) და IAF-ის (International Accreditation Forum) მოთხოვნებთან. აღნიშნული ცვლილებები დადებითად შეფასდა ევროკავშირის ექსპერტების მიერ.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები

საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობა შეესაბამება ვმო-ს მოთხოვნებს. ამ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საქონლის იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტისათვის რაიმე აკრძალვითი ან ლიცენზირებადი ღონისძიებები, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების დაცვას.

სანიტარიული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები რეგულირდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის და კოდექსიდან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტებიდან.

2010 წელს შემუშავდა სურსათის უვნებლობის ყოვლისმომცველი სტრატეგია. 2012 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და მიღებულ იქნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.

DCFTA-ის დებულებების გათვალისწინებით, 2013 წელს შემუშავდა ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, ქართული კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოება უნდა განხორციელდეს 8 წლის განმავლობაში.

ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარიულ კონტროლს საქართველოში ახორციელებს სსიპ „საქართველოს შემოსავლების სამსახური“ და სსიპ „სურსათის სააგენტო“.

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის (CIB) მხარდაჭერით გაიზარდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სააგენტოს პერსონალის ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაძლიერებას. ჩატარდა ტრენინგები სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სფეროში რისკების ანალიზის და ინსპექტირების, აგრეთვე მცენარეთა დაცვის საკითხებზე. გარდა ამისა, სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის WTO-ს და ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებასა და ჰარმონიზაციაში ტექნიკური დახმარების გასაწევად სააგენტოში მოკლევადიანი მისიით იმყოფებოდნენ კვალიფიცირებული ექსპერტები. CIB-ის ფარგლებში ხორციელდებოდა აგრეთვე სააგენტოს IT შესაძლებლობათა და მთლიანად ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება.

სავაჭრო ზომები საგარეო ვაჭრობაში

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი შიდა კანონმდებლობა არ გააჩნია. ამასთან, საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანებისას მიერთების ოქმით აღებული ვალდებულების თანახმად, საქართველომ არ უნდა გამოიყენოს საგარეო ვაჭრობაში დამცავი ზომები მანამ, სანამ ქვეყანაში არ იქნება ვმო-ს მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ასეთი სახის კანონმდებლობის შემუშავების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვები

2006 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ვმო-ს შეთანხმების მოთხოვნებთან. მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ვმო-ს შეთანხმებაზე მიერთებასთან დაკავშირებით,

რითაც დასრულდება გაწევრიანების დოკუმენტით საქართველოს მიერ ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესი.

საქართველოში მოქმედებს ელექტრონული შესყიდვების ოფიციალური სისტემა, რომელიც სახელმწიფო კონტრაქტების გაფორმების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და გამჭვირვალე მოდელს წარმოადგენს. კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტო არის ის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ელექტრონული შესყიდვებს ახორციელებს 2011 წლიდან (http://procurement.gov.ge/).

ინტელექტუალური საკუთრებისა უფლების დაცვა

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა მთლიანობაში პასუხობს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების (TRIPS) ვმო_ს შეთანხმებისა და საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს. საქართველოში აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) შექმნასთან, მათ გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებს: „საქართველოს საპატენტო კანონი“, კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, კანონი „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“, კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უცხოელი მოქალაქეები სარგებლობენ იმავე უფლებებითა და პრივილეგიებით, რითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები.

„საქპატენტის“ მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე უფლებამფლობელს შეუძლია განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს მისი დაცვის ობიექტის გამოყენება. მას თავისი უფლებების დასაცავად შეუძლია გამოიყენოს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა.

ამასთან ერთად, მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციასთან (UPOV კონვენცია) საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ გაუქმდა ადრე მოქმედი კანონი „სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ“ და მიღებული იქნა ორი ახალი კანონი „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ და „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“.

საბაჟო საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელისა და პროდუქციის რეესტრში შეტანის წესი განისაზღვრება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით;

დღეისათვის შემოსავლების სამსახურის მიერ დარეგისტრირებულია რამდენიმე სასაქონლო ნიშანი და საბაჟო ორგანოები ახორციელებენ კონტროლს მათ იმპორტ-ექსპორტზე.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო ადმინისტრაცია შეუერთდა ინტერფეისის საჯარო წევრებს (IPM – მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ინიციატივა);

IPM-ი შედგება „ნამდვილი/ყალბი (კონტრაფაქციული) საქონლის მონაცემთა ბაზისაგან“, რაც შესაძლებლობას აძლევს უფლების მფლობელებს, რომ ეკონომიკური საზღვრის ოფიცრებს წარუდგინონ მათი პროდუქციის ნამდვილი მონაცემები, ასევე ინფორმაცია, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას განასხვავონ „ნამდვილი“ და „გაყალბებული“ პროდუქცია;

IPM-ი არ ანაცვლებს ადმინისტრაციულ პროცედურებს, რაც გათვალისწინებულია განაცხადის შევსებისას, თუმცა ის წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, რაც ეკონომიკური საზღვრის ოფიცრებს მისცემს საშუალებას წარმართონ შემდგომი პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისად.

2.4 უცხოური ინვესტიციების რეჟიმი

საქართველოში მიღწეულ იქნა ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ბიზნესისათვის გახსნილობისა და ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული კონსენსუსის საფძველზე, 1995 წლიდან საქართველოს პარლამენტი მუშაობდა ბიზნესის ლიბერალურ კანონმდებლობაზე. ეროვნული რეჟიმი ვრცელდება ყველა ინვესტორზე და არ არსებობს რაიმე სფეციფიკური რეგულაცია, რომელიც დისკრიმინაციას ითვალისწინებს. საქართველოს ეკონომიკის ყველა სფერო ღიაა ინვესტიციებისათვის.

საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც 1996 წლიდანაა ძალაში, განსაზღვრავს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების და მათი დაცვის გარანტიების სამართლებრივ საფუძველს. კანონის მიზანს წარმოადგენს ინვესტიციების ხელშემწყობი რეჟიმის დამკვიდრება. იგი უზრუნველყოფს ქართველი და უცხოელი ინვესტორების თანასწორუფლებიანობას, გამონაკლისს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობა წარმოადგენს. უცხოელ იურიდიულ და კერძო პირებს აქვთ საქართველოში მიწის, გარდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვის უფლება.

2006 წელს ინვესტირებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო პროცედურების შემდგომი ოპტიმიზაციის მიზნით მიღებულ იქნა კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (http://www.investingeorgia.org/). ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც მოქმედებს „ერთი სარკმლის“ პრინციპის შესაბამისად ეხმარება ინვესტორებს საქართველოში ბიზნესის დაწყებაში, პროექტების განხორციელებაში, მთავრობასთან სათანადო კავშირის უზრუნველყოფაში. აწვდის ინფორმაციას ინვესტორებს როგორც ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების, ისე ინვესტირებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და კანონების შესახებ.

ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ახორციელებს აგრეთვე ინვესტორებისთვის შეხვედრებისა და პროექტების ადგილზე გაცნობის ორგანიზებას.

საქართველოში ექსპორტის ინვესტიციების ხელშეწყობის პოლიტიკას ასევე ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინვესტიციებისა და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტი, რომლის კომპეტენციას საინვესტიციო და საექსპორტო კლიმატისა და გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ნაბიჯები წარმოადგენს. კერძოდ:

- მჭიდრო კავშირების შექმნა და შენარჩუნება ეკონომიკურ ინსტიტუტებთან (პალატები, ასოციაციები და აშ.), ბიზნეს გაერთიანებებთან და მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ მედიასთან
- მონაწილეობა ქვეყნის მარკეტინგულ საქმიანობებში ქვეყნის რეპუტაციის ამაღლების მიზნით
- ყველა შესაბამისი ბიზნეს საქმიანობის CRM-ის (Customer Relationship Management) სისტემურ ბაზაში დაფიქსირება, მომავალში მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით;
- პოტენციური ინვესტორების იდენტიფიცირება
- მათთან კონტაქტების დამყარება და მათი გაღრმავება
- საინვესტიციო კონფერენციებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობისთვის შეთავაზებების ფორმულირება
- საქართველოს მონაწილეობის ორგანიზება ამ ორგანიზაციებში სხვა შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით
- უწყვეტი კონტაქტის შენარჩუნება პოტენციურ ინვესტორებთან

ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით დეპარტამენტი ეხმარება მეწარმეებს პოდუქციის გასაღების ახალი ბაზრების მოძიებაში, ბაზრების შესწავლაში და პარტნიორების მოძიებაში ექსპორტის მოცულობების გაზრდისა და ქართული საწარმოების განვითარების მიზნით.

საქართველოს 32 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული შეთანხმება ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ და 42 ქვეყანასთან შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ.

დასკვნა

საქართველოს მიერ ინტენსიურად განხორციელებული ვაჭრობის ლიბერალიზაციის ღონისძიებების შედეგად, ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერები მნიშვნელოვნად შემცირდა, ექსპორტისა და იმპორტის პროცედურები გამარტივდა, მოხდა ვაჭრობის ზრდა და დივერსიფიცირება.

ბიზნეს საქმიანობისა და ვაჭრობის გამარტივებამ ხელი შეუწყო საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირებას, მათ შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში, რამაც უფრო მოქნილი გახადა საქართველოს ეკონომიკა საგარეო და შიდა უარყოფითი გავლენის მიმართ.

საქართველოს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები, ასევე, DCFTA–ის ამოქმედების შემდგომ წვდომა ევროკავშირის, ბაზარზე არის ის მყარი საფუძველი, რომელიც საჭიროა ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის განვითარებისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის.

თავი III

საერთაშორისო კომერციული დავების მოგვარება

მესამე მხარის ჩართვა დავების მოგვარების პროცესში

ორ მხარეს შორის წარმოშობილი დავა სასურველია გადაწყდეს მათ შორის მესამე მხარის ჩარევის გარეშე და მიღწეულ იქნას სასურველი შეთანხმება მშვიდობიანი გზით, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის შემდგომი ურთიერთობების განვითარებას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეები დაინტერესებულნი არიან მხოლოდ დავის გადაწყვეტით და არ გეგმავენ სამომავლო ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას. ასეთ დროს თითოეულ მხარე ცდილობს დავა გადაწყვიტოს მისთვის მომგებიანი მეთოდებისა და პირობების გამოყენებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაპირისპირება (ომი). ესეთ სიტუაციაში მესამე მხარის ჩართვა ხდება გარდაუვალი.

კერძო დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა არის მესამე მხარის – სასამართლოს სისტემის გამოყენება. თუმცა პროცესის დაწყება არ გამორიცხავს მოდავე მხარეების უფლებას ნებისმიერ ეტაპზე დავა გადაწყვიტონ ორმხრივად, მოლაპარაკების საფუძველზე.

შესაძლებელია მოდავე მხარეებმა დავის გადაწყვეტის მოთხოვნით მიმართონ მესამე პირს. არბიტრაჟი ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული მექანიზმია კერძო დავების გადაწყვეტის დროს, როგორც შიდა ისე საერთაშორისო კომერციული ურთიერთობებისას. ამასთან, არბიტრაჟი არ არის ერთადერთი ასეთი მოხერხებული ფორმა.

3.1 არბიტრაჟი, როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმი

„არბიტრაჟის“ განმარტება

უცხოური საარბიტაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და შესრულების შესახებ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის მე-2 მუხლი ამბობს: „თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს მხარეთა წერილობით შეთანხმებას მიმართოს აბრიტრაჟს“, თუმცა კონვენცია არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რა არის „არბიტრაჟი“. ტერმინის სრულყოფილ განმარტებას არ გვაძლევს, მათ შორის არც სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. არც გაერო-ს საერთაშორისო სავაჭრო სამამრთლის კომისიის (UNCITRAL) მიერ მიღებულ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ ე.წ. სამოდელო კანონს (Model Law) განუმარტავს „არბიტრაჟის“ მნიშვნელობა.

არბიტრაჟის პრინციპული მახასიათებლები:

– არბიტრაჟი არის დავების გადაწყვეტის მექანიზმი
– არბიტრაჟი იქმნება კონსენსუსის საფუძველზე
– არბიტრაჟი არის კერძო პროცედურა
– არბიტრაჟი იღებს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებას

არბიტრაჟი – დავების მოგვარების მექანიზმი

არ არის დავა – არ არის არბიტრაჟი!

არბიტაჟის, ისევე, როგორც სასამართლოს მეშვეობით დავის გადაწყვეტა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყება პროცესი. თუ მხარეები პროცესის მსვლელობისას მიაღწევენ შეთანხმებას დავის გადაწყვეტის თაობაზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი წყვეტს დავის განხილვის პროცესს.

მხარეთა მოთხოვნისა და ტრიბუნალის თანხმობის შემთხვევაში შესაძლოა გამოტანილ იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებზე. ასეთი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს იგივე სამართლებრივი სტატუსი, რაც საქმის არსებით ნაწილზე მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს.

არბიტრაჟი იქმნება კონსენსუსის საფუძველზე
არბიტრაჟი იქმნება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა თანხმობა აუცილებელია არამხოლოდ დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის კონტექსტში, არამედ არბიტრაჟის უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმებული დავის განხილვის კონტექსტში. შესაბამისად, ტრიბუნალის გადაწყვეტილება უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ დავას, რომელიც მხარეებმა წარადგინეს მოსაგვარებლად და არა რომელიმე სხვა საკითხს ან დავას, რაც შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის.

ნიუ იორკის კონვენციის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შესაძლოა უარი განაცხადოს ნებისმიერმა მხარემ თუ გადაწყვეტილება ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც არ წარმოადგენდა ტრიბუნალის განსჯად, მხარეთა მიერ წარდგენილი დავის შემადგენელ ნაწილს.

როგორც წესი, ძირითად კონტრაქტში მხარეები დებენ ე.წ. საარბიტრაჟო დებულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თანხმდებიან მომავალში წაროშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის გამოყენებით.

შესაბამისად, დავის შემთხვევაში მხარეებს აღარ ჭირდებათ დავის მოგვარების ფორმაზე დამატებითი შეთანხმების მიღწევა, თუმცა პრაქტიკაში ხშირად ერთ-ერთი მხარე გამოთქვამს სურვილს დავა გახდეს ეროვნული სასამართლოს განსჯადი.

„კონვენციის“ თანახმად, ნებისმიერი მხარის ეროვნული სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს დავის განხილვა, თუ მისთვის ცხადი გახდა, რომ მხარეთა შორის არსებობს მოქმედი საარბიტრაჟო შეთანხმება (მუხლი 2).

თუ მოპასუხე მხარემ უარი განაცხადა არბიტრაჟში მონაწილეობაზე, საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელეს უფლება აქვს განაგრძოს პროცესი და საარბიტრაჟო ტრიბუნალი გამოიტანს გადაწყვეტილებას მის წინაშე არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

არბიტრაჟი არის კერძო პროცედურა

არბიტრაჟი არ წარმოადგენს სახელმწიფოს სასამართლოს სისტემის ნაწილს. როგორც აღინიშნა იქმნება მხარეთა შეთანხმების თანახმად, თუმცა ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციებს. საბოლოო შედეგი არის მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სრულდება სასამართლოს მიერ, თითქმის ისეთივე წესით რა წესითაც სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილებები. სახელმწიფოს ინტერესია დავები გადაწყდეს არბიტრაჟის გამოყენებით და არა რაიმე სხვა ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით საკმაოდ მკაფიოა და ხშირად ილუსტრირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არბიტრაჟის შესახებ კანონის ინკორპორირებით (გერმაია). თამანედროვე მიდგომის თანახმად, მხარეებს და საარბიტრაჟო ტრიბუნალებს ეძლევათ სრული თავისუფლება და ავტონომია დავების გადაწყვეტის პროცესში, რასაც ადასტურებს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ ე.წ. სამოდელო კანონის მე-18 მუხლი: „მხარეების მიმართ გამოიყენება თანასწორი მოპყრობის პრინციპი და თითოეულ მხარეს ეძლევა თავისი საქმის წარდგენის სრული შესაძლებლობა“. ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ უარი თქვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ მიიჩნევენ რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაირღვა შესაბამისი სავალდებულო საარბიტრაჟო პროცედურები.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი გამოიყენება ორ კერძო სუბიექტს შორის დავის მოგვარების მიზნით, რომელთაც ასევე შეუძლიათ დავის მოგვარება მოლაპარაკებების ან სხვა კერძო მექანიზმების გამოყენებით, პირადი, კერძო ხასიათის არბიტრაჟი თავისთავად გულისხმობს კონფიდენციალობის დაცვას.

გამონაკლისის სახით, მხარეებმა შეიძლება მოითხოვონ საქმეში სასამართლოს ჩართვა. საარბიტრაჟო წესების 30-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები წერილობით, სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ყველა მხარე კისრულობს ვალდებულობას დაიცვას ყველა გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებული მასალების კონფიდენციალობა, მათ შორის წარმოდგენილი მეორე მხარის მიერ, თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება არ გამომდინარეობს მისი სხვა სამართლებრივი უფლებების დაცვის ვალდებულებიდან, რაც დაკაშირებულია ეროვნული სასამართლოში ან სხვა სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესთან.

არბიტრაჟების მზარდი რიცხვი იწვევს სახელმწიფოთა ან სახელმწიფო დაწესებულებათა ჩართვას პროცესში. ამგვარ არბიტრაჟებში წამოჭრილი საკითხები ხშირად

წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს, განსაკუთრებით კი საინვესტიციო დავების დროს. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები არ ქმნიან პრეცედენტს, არსებობს დიდი ინტერესი საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობების მარეგულირებელი საარბიტრაჟო კანონმდებლობისა და შესაბამისი პროცედურის სამართლებრივი განსაზღვრებების მიმართ.

არბიტრაჟი იღებს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებას

საარბიტრაჟო წესების უმრავლესობა, როგორიც არის მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატის 28(6) საარბიტრაჟო წესი, ხაზგასმით ადგენს, რომ: „ყოველი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისთვის. ამ წესების დაცვით, დავის არბიტრაჟისთვის განსახილველად გადაცემით, მხარეები კისრულობენ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულებას....“

პროცედურა, რომელიც არ იწვევს მხარეთა უფლებების და მოვალეობების საბოლოო და სავალდებულო განსაზღვრას, არ არის არბიტრაჟი.

ნიუ იორკის კონვენციის მე-3 მუხლი, ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს „სავალდებულოდ აღიარონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები და აღასრულონ იმ ტერიტორიიის პროცედურული წესების შესაბამისად, სადაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული...“ ეს არის ის ფუნდამენტური ნორმა/პრინციპი, რაზეც დგას საერთაშორისო კომერციული სავაჭრო არბიტრაჟი.

3.2 დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმები

ბოლო წლებში ხშირად საუბრობენ „დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე“ (ADR) ან დავების მეგობრულ მოგვარებაზე, როგორც მას ICC უწოდებს. „ICC-ს ADR განსხვავდება არბიტრაჟსა და სასამართლო პროცესებიგან იმით, რომ ICC-ს ADR არ იწვევს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელის შესრულებაც სამართლებრივად სავალდებულოა. ADR-ს პროცედურები კი მიზნად ისახავს მხარეთა შორის შეთანხმების დადებას, რომელიც დავას გადაწყვეტს. შეთანხმება, რომელიც ADR-ს პროცედურების შედეგია, თავისი ბუნებით კონტრაქტია.

ადვოკატები, რომლებიც ხშირად იყენებენ ADR-ის მეთოდს, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სასამართლოს და არბიტრაჟს, თავიანთ პრინციპულ ფუნქციად დასახული აქვთ წარსულში არასწორად მომხდარ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისა და ხარჯების განსაზღვრა. ADR-ს ტექნიკა, ზოგადად, მიჩნეულია, როგორც მომავალზე ორიენტირებული, რომელიც დავას წყვეტს იმდაგვარად, რომ მხარეებს შეეძლოთ ჰარმონიულად განაგრძონ თავიანთი ურთიერთობა დავის გადაწყვეტის შემდგომაც.

არსებობს სხვადასხვა სახის დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები:

– კონსილიაცია
– მედიაცია
– მცირე სასამართლო
– ექსპერტის შეფასება
– დავების გადაწყვეტის საბჭო

„კომერციული“
„ტერმინს „კომერციული“ უნდა მიეცეს ფართო განმარტება, რათა მოიცვას ყველა საკითხი, რომელიც წამოიჭრება სამეწარმეო ხასიათის ყველა ურთიერთობიდან, მიუხედავად იმისა, ისინი საკონტრაქტოა თუ არა. სამეწარმეო ხასიათის ურთიერთობები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგ გარიგებებს: საქონლის მიწოდების, გაცვლის ან მომსახურების ნებისმიერ სავაჭრო გარიგებას; დისტრიბუციის გარიგება; კომერციული წარმომადგენლობა და სააგენტო; ფაქტორინგი; ლიზინგი; სამშენებლო სამუშაოები; კონსულტაცია; საინჟინრო საქმე, ლიცენზირება, ინვესტიცია; საფინანსო საქმე; საბანკო საქმე; დაზღვევა; ექსპლოატაციის შესახებ შეთანხმება ან კონცესია; ერთობლივი საწარმო და სხვა სახის ინდუსტრიული და ბიზნეს თანამშრომლობა; საქონლის გადატანა ან მგზავრების გადაყვანა საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და საგზაო ტრანსპორტით.

უცხოური არბიტრაჟი და საერთაშორის არბიტრაჟი არ არის ერთი და იგივე
A სახელმწიფოში არსებული არბიტრაჟი არის უცხოური არბიტრაჟი B სახელმწიფოში. B სახელმწიფოს სასამართლოები ვალდებულნი არიან დაეყრდნონ ნიუ-იორკის კონვენციას და შესაბამისად უზრუნველყონ სახელმწიფოში მოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ადგილობრივ და საერთაშორისო არბიტრაჟი
თანამედროვე მოსაზრებით, არბიტრაჟზე ვრცელდება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც ის არის დისლოცირებული. ამ ლოგიკით ყველა სახელმწიფოსათვის, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს არბიტრაჟი, განიხილება, როგორც ადგილობრივი არბიტრაჟი. ძირითადი განსხვავება საერთაშორისო და ადგილობრივ არბიტრაჯებს შორის გამოიხატება დავის სახიათის გათვალისწინებით. მაგალითად, ზოეგიერთ სახელმწიფოში ანტიმონოპილიის დარღვევის საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნეს საერთაშორისო არბიტრაჟში, და არა ადგილობრივ არბიტრაჟში.

განსხვავება ადგილობრივ და საერთაშორისო არბიტრაჟს შორის შიდასახელმიფოებრივი კანონმდებლობის საკითხია. არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განსხვავება და არც არის ამის აუცილებლობა, რადგანაც ნიუ-იორკის კონვენცია ვრცელდება, მათ შორის, უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე.

საერთაშორისო არბიტრაჟის განმარტება
საერთაშორისო არბიტრაჟის განმარტების ორი ძირითდი მეთოდი არსებობს. ერთი ფოკუსს აკეთებს გარიგებზე და ადგენს არის თუ არა გარიგება დადებული სხვა სა-

ხელმწიფოში და არა არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიოში ან შესაძლოა გარიგება დადებულია ორ ან მეტ სახელმწიფოში; მეორე მეთოდი განიხილავს მხარეებს, არიან თუ არა ისინი სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები.

სამოდელო სამართალში არბიტრაჟი საერთაშორისოა თუ:

1. საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეებს, შეთანხმების დადების დროს, ბიზნესი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებში

ამ დებულების თანახმად, თუ B სახელმწიფოს მულტინაციონალური კომპანიის ადგილობრივი ოფისი A სახელმწიფოში დებს კონტრაქტს A სახელმწიფოს კომპანიასთან, რომელიც მოითხოვს არბიტრაჟს A სახელმწიფოში, მაშინ არბიტრაჟი არ არის საერთაშორისო A სახელმწიფოში.

2. არბიტრაჟის ადგილი, რომელიც განსაზღვრულია საარბიტრაჟო ხელშეკრულებაში, მდებარეობს იმ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, რომელშიც მხარეებს აქვთ თავიანთი ბიზნესი.

ამ დებულების თანახმად, A სახელმწიფოს ორი მხარე შეიძლება დათანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო განხილვა განხორციელდეს B სახელმწიფოში. თუ B სახელმწიფომ მიიღო სამოდელო კანონი, არბიტაჟი იქნება საერთაშორისო B სახელმწიფოში.

3. ნებისმიერი ადგილი, სადაც უნდა შესრულდეს კომერციული ურთიერთობის ვალდებულების არსებითი ნაწილი ან ადგილი, რომელთანაც დავის საგანი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მდებარეობს იმ სახელმწიფოს გარეთ, რომელშიც მხარეებს აქვთ თავიანთი ბიზნესი.

ამ დებულების თანახმად, ,A“ სახელმწიფოდან ორ მხარეს შორის არბიტრაჟი ,,A“ სახელმწიფოში ,,B“ სახელმწიფოში მდებარე მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით იქნება საერთაშორისო არბიტრაჟი.

4. მხარეები მკაფიოდ შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი ეხება ერთზე მეტ ქვეყანას.

სამოდელო კანონმდებლობა საკმაოდ ფართოა იმ საკითხის განმარტებაში თუ რა აძლევს არბიტრაჟს საერთაშორისო ხასიათს. თუმცა, განმარტება სამოდელო კანონში უნდა მოხდეს კონტექსტის გათვალისწინებით. ეს რელევანტურია მხოლოდ მაშინ თუ სახელმწიფო იღებს სამოდელო კანონმდებლობას, რომელიც ზღუდავს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის გამოყენებას. სახელმწიფომ, რომელიც იღებს სამოდელო კანონმდებლობას ყველა ტიპის არბიტრაჟისათვის უნდა ამოიღოს ტერმინ ,,საერთაშორისოს“ განმარტება, ვინაიდან იგი არ ემსახურება არანაირ მიზანს.

3.3 რატომ მიმართავენ მხარეები საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს

„არბიტრაჟი“

არბიტრაჟი უფლებას აძლევს მხარეებს თავიანთი დავის განსახილველად აირჩიონ პირები, რომლებსაც აქვთ სპეციფიური ცოდნა. სახელმწიფო სასამართლოს მოსამართლეები ნაკლებად სავარაუდოა იგივე ხარისხით ერკვეოდნენ მათ განსახილველი გარიგების ტექნიკურ ასპექტებში, იმ იურისტებთან შედარებით, რომლებიც წარმოადგენენ მხარეებს და რომლებმაც შესაძლოა მოგვიანებით იმსახურონ, როგორც არბიტრებმა მსგავს გარიგებებში. სამშენებლო საქმესთან დაკავშირებულ არბიტრაჟში შესაძლოა არბიტრებად იმსახურონ ინჟინრებმა, არქიტექტორებმა, ისევე როგორც იურისტებმა.

სპეციალური ცოდნის მქონე არბიტრების არჩევის თავისუფლება არ არის იმ სახელმწიფოებში, რომელთაც აქვთ შემზღუდველი საარბიტრაჟო კანონები, რომლებიც მხოლოდ იურიდიული განათლების მქონე პირებს რთავს ნებას გამოვიდნენ არბიტრებად.

არბიტრები აირჩევიან სპეციფიკური ხასიათის დავების გადასაწყვეტად. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ ექვემდებარება აპელაციას.

სასამართლო წესით განხილვასთან შედარებით, გადაწყვეტილების სწრაფად მიღება და შემცირებული ხარჯები იყო და არის ერთ-ერთი არგუმენტი არბიტრაჟის სასარგებლოდ (შვეიცარიის წესები, მუხლი 42). მეორეს მხრივ, თუ მხარეები ისურვებენ გამოიყენონ ყველა შესაძლო პროცედურული საშუალებები საქმის განსახილველად, მაშინ არბიტრაჟში ხარჯები იქნება ისეთივე მაღალი, როგორიც იქნებოდა სასამართლო წესით განხილვისას.

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი

ნებისმიერი მხარისათვის ყველაზე მომგებიანი სიტუაცია საერთაშორისო გარიგებასთან დაკავშირებულ დავაში არის საქმის განხილვა ამ უკანასკნელის სასამართლოში. ამ შემთხვევაში, მხარე საქმეს განიხილავს თავის სახელმწიფოში, თავისი ადვოკატების მეშვეობით, მისთვის კარგად ცნობილი პროცედურებით და მისთვის გასაგებ/მშობლიურ ენაზე.

მაშინ როდესაც უცხო სასამართლოში საქმის განხილვა სასარგებლოა გარიგების ერთ-ერთი მხარისთვის, მეორე მხარისთვის წარმოშობს მთელ რიგ სირთულეებს, კერძოდ, საქმის განხილვა ხდება მისთვის უცნობი პროცედურებით, იმ ენაზე, რომელიც შესაძლოა მისთვის იყოს უცხო და ასევე ენაზე, რომელიც შეიძლება არ წარმოადგენდეს კონტრაქტის ენას. ასევე ამ შემთხვევაში, მეორე მხარეს არ ეძლევა შესაძლობლობა, რომ გამოიყენოს თავისი კომპანიის იურისტები.

საინტერესოა ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მაგალითი. ასოციაციას აქვს დიდი ხნის და გამორჩეული ისტორია, როგორც ადგილობრივი სა-

არბიტრაჟო მომსახურების გამწევს. ის სთავაზობს თავის მომსახურებას, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტისათვის საარბიტრაჟო მომსახურების გამწევი, თავისი ორგანოს, „დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის“ მეშვეობით, რომელსაც აქვს ევროპული ოფისი დუბლინში, ირლანდია.

არსებობს სპეციალური დამოკიდებულება მიკერძოების თაობაზე, როდესაც დავის ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოა. სახელმწიფოს გააჩნია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის ბევრი ბერკეტი, რაც მას ხელს უწყობს მისთვის სასარგებლოდ საქმის განხილვის წარმოებას უცხოელის წინააღმდეგ.

საერთშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს ამჟამინდელი პოპულარულობის საბოლოო მიზეზი არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან შედარებით მოქნილი მექანიზმი. თუ არ არსებობს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება სასამართლოს გადაწყვეტილების ერთმანეთის ტერიტორიებზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მოთხოვნილ სასამართლოს არ ეკისრება ამ გადაწყვეტილების აღსრულების საერთაშორისო ვალდებულება. არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსულების მთელი რიგი ორმხრივი ხელშეკრულებები, ხოლო ერთადერთი მრავალმხრივი ხელშეკრულება არსებობს მხოლოდ ევროპის კავშირის ქვეყნებს შორის. ამასთან, 135 სახელმწიფო „უცხო სახელმწიფოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის კონვენციის“ მონაწილეა.

3.4 დასკვნა

ტერმინი „საერთაშორისო კომერციული „არბიტრაჟი“ არასოდეს განმარტებულა. თუმცა, არსებობს საკმაოდ აშკარა შეთანხმება მის შემადგენელ ელემენტებზე. სამ სიტყვაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის არბიტრაჟი. ის არის დავის მოგვარების პროცედურა, რომელიც როგორც სასამართლო წესით საქმის განხილვა სახელმწიფოს სასამართლოებში, იწვევს საბოლოო და სავალდებულო შედეგს, რომელიც შესასრულებლად გადაეცემა სასამართლოებს. ძირითადი განსხვავება არბიტრაჟსა და სასამართლო განხილვას შორის არის ის, რომ არბიტრაჟი არის კონსენსუალური(შეთანხმებითი) და არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც მხარეებმა გადასცეს არბიტრაჟს განსახილველად.

ნიუ-იორკის კონვენცია ნებას რთავს სახელმწიფოს გამოაცხადოს, რომ ის გამოიყენებს კონვენციას მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ის თავისი კანონმდებლობის შესაბამისად კომერციულ საკითხებად თვლის.

საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა არბიტრაჟი საერთაშორისო შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი იმ საკითხების განსასაზღვრად, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. ზოგიერთ სახელმწიფოში ანტიმონოპლიური საკითხები განსახილველად შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო არბიტრაჟს იმ შემთხ-

ვევაშიც, როცა ისინი არ არის ნებადართული ადგილობრივ არბიტრაჟში. მსგავსად, ზოგიერთი სახელმწიფო ნებას რთავს სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოს საქმე განსახილველად წარუდგინოს არბიტრაჟს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟი საერთაშორისოა.

კერძო პირებს შორის დავა, რომელიც წყდება არბიტრაჟით, შეიძლება იყოს საოჯახო, ეხებოდეს შრომითი ტიპის ურთიერთობებს, ან იყოს ორ კომერციულ საწარმოს შორის. წარსულში ასეთი ტიპის დავები თითქმის ექსკლუზიურად იყო შიდა და საარბიტრაჟო სისტემის განვითარება აისახა ცალკეული საზოგადოების ბუნებაზე. ზოგიერთ სახელმწიფოში, კერძოდ, ლათინურ ამერიკასა და ინგლისში, არბიტრაჟი ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც სასამართლო წესით საქმის განხილვის სახელმწიფო სისტემის გაფართოებად. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონი არ ითხოვდა, რომ ადგილობროვ სასამართლოთა პროცედურებს მოყოლოდა არბიტრაჟი, სასამართლოში იურისტების მიერ განვითარებული ჩვევები გადატანილ იყო არბიტრაჟში.

ეკონომიკური საწარმოები თავისი ბუნებით წარმოადგენდა სამთავრობო ადმინისტრაციის ნაწილს. მაშინ როდესაც დავების გადაწყვეტის მექანიზმი დაწესებული ამ საწარმოებს შორის დავის გადასაჭრელად ხშირად მოიხსენიებოდა როგორც არბიტრაჟი, ფაქტობრივად ისინი წარმოადგენდნენ ადმინისტრაციული სასამართლო გადაწყვეტილების ფორმას ასეთი დავების გადაჭრის მიზნით შექმნილ ორგანიზაციებზე მაღალი დონის ადმინისტრაციული და პოლიტიკური კონტროლით.

ამ ატმოსფეროში ძალიან მცირე იყო ის რისთვისაც შეიძლებოდა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის წოდება. არა აქვს მნიშვნელობა, რომ დავის ერთ-ერთი მხარე შესაძლოა ყოფილიყო უცხოელი, არბიტრაჟი კვლავ შიდა ხასიათს ინარჩუნებდა. შიდასახლემწიფოებრივი კანონმდებლობა გამოიყენებოდა როგორც სასამართლო პროცესის წარმოებისას, ასევე დავის შინაარსისთვისაც. ეს იყო ყველაზე ნათელი ინგლისის შემთხვევაში 1979 წლის საარბიტრაჟო აქტამდე.

3.5 საინვესტიციო დავეგის გადაწყვეტის არბიტრაჟის განვითარება

უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავები წარმოშობს საკმაოდ მგრძნობიარე საკითხებს.

ერთის მხრივ, უცხოელი ინვესტორი დებს საკმაო თანხებს ხანგრძლივი დროით სახელმწიფოში, რომელშიც მას არ აქვს ნდობა სამთავრობო სისტემისადმი, სასამართლოების ან მისი პოლიტიკური სტაბილურობის ჩათვლით. გასაგებია, რომ ინვესტორი შეიძლება მოითხოვდეს გარანტიებს, რომლებიც მას საკუთარ ქვეყანაში არ დასჭირდებოდა. ინვესტიცია ხშირად იქნება

გასაგებია, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო არ ისურვებს უცხოური ინვესტიციისადმი განსხვავებულად მოპყრობას მის ადგილობრივ ინვესტიციასთან შედარებით.

1965 წელს მსოფლიო ბანკმა წამოწია ახალი ინიციატივა „სახელმწიფოებსა და მეორე სახელმწიფოს ინვესტორებს შორის არსებული საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ“, ე.წ. ვაშინგტონის კონვენციის მიღებით. 1965 წლიდან მოყოლებული საინვესტიციო დავების წარდგენა შესაძლებელია არბიტრაჟისათვის, საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის ეგიდით (ICSID).

50-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელმწიფოთა შორის დამკვიდრდა ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების დადების პრაქტიკა. საინვესტიციო შეთანხმებები საკმაოდ სპეციფიური ხასიათისაა, თუმცა მათ აერთიანებთ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანთვისება – ეს არის დებულება, რომელიც ერთი სახელმწიფოს ინვესტორს, რომელმაც განახორციელა ინვესტიცია მეორე სახელმწიფოში, უფლებას აძლევს ინვესტიციათან დაკავშირებული დავის წარმოშობის შემთხვევაში, მიმართოს არბიტრაჟს.

თუ საინვესტიციო შეთანხმების რომელიმე მხარე არ არის ვაშინგტონის კონვენციის მონაწილე, უცხოელ ინვესტორს ვერ შესთავაზებს საინვესტიციო დავის გადაწყვეტას საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის ეგიდით (ICSID).

ზოგადი სტატისტიკა საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 26 824,9 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2,5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 3,2 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი შემცირდა 0,7 პროცენტით.

	2012	2013
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	26 167.3	26 824.9
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ ოლარი)	15 846.8	16 126.4
მშპ ერთ სულზე (ლარი)	5 818.1	5 982.6
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	3 523.4	3 596.6
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	6.2	3.2
მშპ-ის დეფლატორი (%)	1.2	-0.7

მშპ-ს რეალური ზრდა



მშპ ერთ სულ მოსახლეზე



მშპ-ს კომპონენტები, 2013 წ.



სწრაფად მზარდი სექტორები 2013 წ.

ფინანსური შუამავლობა	11.4%
სოფლის მეურნეობა	9.4%
დამამუშავებელი მრეწველობა	8.4%
უძრავი ქონება	7.5%
საფინანსო საქმიანობა	7.4%
სასტუმროები და რესტორნები	7.2%
შინამეურნეობა	5.6%
ტრანსპორტი	4.9%
განათლება	4.6%
ელ., გაზისა და წყლის წარმოება და განაწილება	4.0%

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

სავაჭრო ბრუნვა – 10 784 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5.5%)

– ექსპორტი – 2 909 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 22,4%)
– იმპორტი – 7 874 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 0,4%)
– დეფიციტი – -4 965 მლნ. აშშ დოლარი





10 ძირითადი სავაჭრო პარტნიორი 2013 წ.



ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით (2013)



იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით (2013)



ექსპორტის სტრუქტურა პროდუქციის მიხედვით (2013)



იმპორტის სტრუქტურა პროდუქციის მიხედვით (2013)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

– 2013* – 914,4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა – 0,3%)

– 2012 წელი – 911,6 მლნ. აშშ დოლარი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



ინვესტიციები სექტორების მიხედვით 2013



ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით

2013		2013	
გერმანია	15,2%	ნიდერლანდები	19,6%
გაერთიანებული სამეფო	10,3%	ლუქსემბურგი	15,8%
თურქეთი	8,9%	ჩინეთი	10,7%
საერთ. ორგანიზაციები	7,0%	აზერბაიჯანი	10,4%
აზერბაიჯანი	6,5%	თურქეთი	8,1%
ლუქსემბურგი	4,6%	აშშ	6,2%
საუდის არაბეთი	4,3%	საერთ. ორგანიზაციები	5,8%
კვიპროსი	4,2%	გაერთიანებული სამეფო	5,2%
ჩინეთი	4,0%	მალტა	4,6%
ნიდერლანდები	3,9%	ა/გემირატები	3,6%
სხვა	69%	სხვა	90%
სულ	100%	სულ	100%

ტურიზმი

2012 წელს საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობამ 5 365 356 კაცი შეადგინა, რაც 21% აღემატება 2011 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს

The New York Times-მა საქართველოს მე-6 ადგილი მიაკუთვნა 41 საუკეთესო ქვეყანას შორის ტურისტული ადგილების კუთხით

არარეზიდენტი ვიზიტორები



ქვეყანა	2012	2013
ევროპა	4 225 635	5 148 490
ამერიკა	33 898	32 450
აღ. აზია/ წყნარი ოკეანე	123 987	114 586
ახლო აღმოსავლეთი	17 141	62 699
აფრიკა	7 110	5 009
სხვა	20 450	1 855
სულ	4 428 221	4 421 111

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

„ბიზნესის კეთების სიადვილე“ (DOING BUSINESS)

ბიზნესის კეთების სიადვილე“ (Doing Business 2014) – მე-8 ადგილი (2012– მე-12 ადგილი)

2005 წლიდან, განხორციელებული 35 რეფორმით საქართველო არის პირველი რეფორმატორი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის და ასევე, მსოფლიოში

საქართველო არის მსოფლიო ქვეყნების ტოპ ათეულში:
– ქონების რეგისტრაცია – 1 ადგილი
– მშენებლობის ნებართვით სარგებლობა – მე-2 ადგილი
– კრედიტით სარგებლობა – მე-3 ადგილი
– ბიზნესის დაწყება – მე-8 ადგილი

საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად, 2014 წელს საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 3 სფეროში:
– ვაჭრობა საზღვრებს შორის
– გაკოტრების პროცედურები
– გადასახადების გადახდა

ბიზნესის კეთება, 2014



„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2014“ (Heritage Foundation) – 22-ე ადგილი – უმეტესად თავისუფალი მე-12 ადგილზე ევროპის რეგიონში (43 ქვეყნიდან)

„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2013“ (Fraser Institute) – 25-ე (76-ე ადგილი 2003 წელს)

გაუმჯობესებული ქულები:

– მთავრობის ზომა – 52 (31 საფეხურით)
– მყარი ვალუტა – 53 (9 საფეხურით)
– საერთაშორის ვაჭრობის თავისუფლება – 8 (3 საფეხურით)
– რეგულაცია – 27 (5 საფეხურით)

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, 2014



კორუფციის აღქმის ინდექსი

„კორუფციის აღქმის ინდექსი 2013“ (Transparency International) – 55-ე ადგილი (85-ე ადგილი 2002 წელს)

პოზიციის გაუმჯობესების მიზეზები:

– ეფექტური რეფორმები საჯარო ნდობის მოპოვებაში
– ეფექტური ნაბიჯები ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებაში
– კორუფციის მნიშვნელოვანი ვარდნა გატარებული რეფორმების შედეგად

კორუფციის აღქმის ინდექსი, 2012



ვაჭრობის სტიმულირების ინდექსი

„ვაჭრობის სტიმულირების ინდექსი 2012“ (World Economic Forum) – 38-ე ადგილი (132 ქვეყანას შორის)

– ბაზარზე ხელმისაწვდომობა – მე-9 პოზიცია
– საზღვრის ადმინისტრირება – 33-ე პოზიცია
– ტრანსპორტი და კომუნიკაციები – 66-ე პოზიცია
– ბიზნეს გარემო – 50-ე პოზიცია

„PAYING TAXES 2013”

გადასახადების გადახდის სიმარტივის მიხედვით – **33-ე ადგილი 185 ქვეყანას შორის** (2011 – 61-ე ადგილი

„BEST COUNTRIES FOR BUSINESS 2012”

Forbes – 50-ე ადგილი 141 ქვეყანას შორის (2010– 50-ე ადგილი 134 ქვეყანას შორის)

პოზიციის გაუმჯობესების ძირითადი ფაქტორები:

– ტექნოლოგიების კომპონენტი
– ენერგეტიკის სექტორის გაძლიერება

ვაჭრობის სტიმულირების ინდექსი, 2012



ბერტელსმანი-ის ტრანსფორმაციის ინდექსი 2012” (BERTELSMANN FOUNDATION)

მენეჯმენტის ინდექსი, 2012

მენეჯმენტის ინდექსი – **53**-ე პოზიცია (95-ე ადგილი 2003 წელს)



მდგომარეობის ინდექსი, 2012

მდგომარეობის ინდექსი – **58**-ე პოზიცია (79-ე ადგილი 2003 წელს)



„FITCH – 2012”

– გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის დეფოლტის რეიტინგი (IDRs) – „BB-“ (2010 წელი – „B+“);
– მოკლევადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი – IDR – „B“;
– ქვეყნის გაჯანსაღების რეიტინგი – „BB“;
– არაუზრუნველყოფილი სესხი - „BB-‘“ (2010 წელი – „B+“);
– შეფასება – სტაბილური.

„STANDARD AND POOR’S 2011”

– გრძელვადიანი უცხორი და ადგილობრივი სუვერენული საკრედიტო რეიტინგი – „BB-“ (გადმოინაცვლა „B+“-დან);
– მოკლევადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგი – „B“;
– სატრანსფერო და კონვერტირებადი შეფასება – „BB“;
– შეფასება – სტაბილური.

„MOODY’S INVESTORS SERVICE 2012”

– უცხოური და ადგილობრივი ვალუტის გამომშვების რეიტინგი – Ba3
– შეფასება – სტაბილური

გამოყენებული მასალები

საქართველოს კანონები (კოდექსი):

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (17.09.2010)
2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი (05.05.2012)
3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი (05.05.2012)
4. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ (28.10.1994)
5. საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (24.06.2005)
6. საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ (03.06.2005)
7. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ (12.11.1996)
8. საქართველოს კანონი ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ (30.06.2006)
9. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (22.06.1999)
10. საქართველოს საპატენტო კანონი (05.02.1999)

11. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ (05.02.1999)
12. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის ქვეყნისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ (23.06.1999)
13. საქართველოს კანონი სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ (23.06.1999)
14. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (20.04.2005)

საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები

15. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT) (15.04.1994)
16. გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS) (15.04.1994)
17. შეთანხმება ინტელექტურალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) (15.04.1994)
18. შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიების შესახებ (TBT) (15.04.1994)
19. შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS) (15.04.1994)
20. კონვენცია მცენარეთა დაცვის შესახებ (12.11.1997)
21. დსთ-ს მრავალმხრივი შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (15.04.1994)
22. საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (01.11.2007)
23. სუუამ-ის მრავალმხრივი შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (15.04.2002)
24. საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (22.04.1996)
25. საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობასა და ინვესტიციების შესახებ ჩარჩო შეთანხმება (TIFA) (20.06.2007)
26. აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია (09.01 2009)

სხვა:

27. საქართველოში ვმო-ში გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიში (1999)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

დანართი 1

სახელმძღვანელო ინფორმაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ

1. ზოგადი ცნობები

გეოგრაფია

– ფართობი, მოსახლეობა (კატეგორიების მიხედვით)
– ოფიციალური ენა
– ძირითადი სამრეწველო და სავაჭრო რეგიონები/ცენტრები
– გეოგრაფიული ადგილმდებარეობის თავისებურებანი, კლიმატი

სახელმწიფოებრივი მოწყობა/მთავრობა

– ქვეყნის კონსტიტუციური წყობა (რესპუბლიკა, ფედერაცია, მონარქია თუ სხვა)
– პასუხისმგებლობის განაწილება ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოებს შორის
– პოლიტიკური კლიმატი
– ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა
– ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმახორციელებლი ძირითადი ორგანოები

ძირითადი ეკონომიკური მონაცემები

– ეროვნული ვალუტა, გაცვლითი კურსი, სტაბილურობის ხარისხი
– საგადამხდელო ბალანსი, უცხოური ვალუტის რეზერვები, საგარეო ვალი
– მთლიანი ეროვნული/შიდა პროდუქტი
– სამომხმარებლო და საბითუმო ფასების ინდექსი, ინფლაციის დონე
– წარმოების წილი მთლიან შიდა პროდუქტში
– უმუშევრობა

2. ბაზარზე დაშვება

ძირითადი საიმპორტო პოლიტიკა

– პრეფერენციული რეჟიმები (საბაჟო კავშირის წევრობა, თავისუფალი ვაჭრობის ზონაში ან განსაკუთრებულ სავაჭრო რეჟიმში მონაწილება)
– არასატარიფო ბარიერები (ლიცენზიები, ნებართვები, ქვოტები, კატეგორიები, მათი გაცემის საფუძვლები, პროცედურები)

– საიმპორტო ტარიფები (კლასიფიკაცია, განაკვეთები)
– განსაკუთრებული საბაჟო პირობები

ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციები

– ლიცენზირება
– შემოსავლების გადარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები
– კაპიტალის რეპატრიაცია
– ვალუტის კონვერტაბელურობა
– ანტიდემპინგური და მინიმალური ფასის რეგულირების მექანიზმები
– შიდა გადასახადები
– პოლიტიკური შეზღუდვები/აკრძალვები
– საკვებისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, კარანტინთან დაკავშირებული რეგულაციები
– მარკირებასთან და შეფუთვასთან დაკავშირებული წესები
– საქართველოსთან თანამშრომლობის დაწყებისთვის პერსპექტიული მეურნეობების ჩამონათვალი

ტრანსპორტი და კომუნიკაციები

– საზღვაო ტრანსპორტი (ძირითადი პორტები და საპორტე საშუალებები, მათი წლიური წარმადობა, ტვირთის გადაზიდვის ტონაჟი, საქართველოსთან საზღვაო კავშირების არსებობა და ა.შ.)
– საჰაერო ტრანსპორტი (საერთაშორისო და შიდა აეროპორტები, საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვის წლიური სტატისიკა, საქართველოსთან საჰაერო კავშირების არსებობა, და ა.შ.)
– საგზაო ტრანსპორტი (ძირითადი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე, გადამზიდავი კომპანიები, სტატისტიკა გადაზიდული ტვირთების შესახებ, საქართველოსთან საავტომობილო გზით დაკავშირების შესაძლებლობები და ა.შ.)
– სარკინიგზო ტრანსპორტი (სარკინიგზო ხაზის საერთო სიგრძე, ლიანდის სიგანე (გაუგე), ტვირთის გადაზიდვის ტონაჟი, სარკინიგზო კავშირი საქართველოსთან და ა.შ.)

მონაცემები ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შესახებ

– მთლიანი ექსპორტის და იმპორტის მოცულობა
– სავაჭრო ბალანსი
– იმპორტი, დაფინანსების წყაროების მიხედვით
– არაჯანსაღი კონკურენცია და ვაჭრობის შემზღუდველი ღონისძიებები
– გადასახადები
– კანონმდებლობა

3. სხვა სახის სასარგებლო ინფორმაცია

– ტექნიკური რეგულირების მოქმედი სისტემა (წონის, ზომის, ელექტროენერგიის მოქმედი სტანდარტები და ა.შ.)
– მრეწველობის ძირითადი დარგები და წარმადობა
– მწარმოებლებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ჩამონათვალი
– სარეკლამო სააგენტოები და საინფორმაციო საშუალებები
– სამეწარმეო ბიზნესის საკონსულტაციო ორგანოების (ბაზრის კვლევა, ხელშეწყობა, რეკლამირება) ჩამონათვალი
– წამყვანი ბანკები
– შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების და მათი ფუნქციების მოკლე აღწერა;
– თავისუფალი სავაჭრო ზონები
– სავაჭრო-ეკონომიკური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების სახეები, მოქმედების თავისებურებანი, სტრუქტურული აღწერა (სავაჭრო-სამრეწველო პალატები, სამეწარმეო/დარგობრივი გაერთიანებები და ა.შ.)

ძირითადი საექსპორტო პროდუქცია

– საექსპორტო პროდუქციის სახეობა და მოცულობა/ღირებულება
– საექსპორტო საქონლის დანიშნულების ქვეყნები, მოცულობის/ღირებულების მიხედვით.

ძირითადი საიმპორტო პროდუქცია

– საიმპროტო პროდუქციის სახეობა და მოცულობა/ღირებულება
– საიმპორტო საქონლის მომწოდებელი ქვეყნები, მოცულობის/ღირებულების მიხედვით

საქართველოსთან ვაჭრობა

– ექსპორტი
– იმპორტი

დანართი 2

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიის მიერ ეკონომიკური კუთხით გაწეული მუშაობის (წლიური) ანგარიში

ადგილსამყოფელი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური მიმოხილვა

– ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მიზნებისა და პროგრამების მიმოხილვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეროვნული გეგმის მოკლე დახასიათებით
– საანგარიშო პერიოდში ძირითადი ეკონომიკური მიღწევები
– ქვეყნის საიმპორტო პოლიტიკისა და პრიორიტეტების აღწერა და მათი ცვლილებები წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით
– ქვეყნის საგარეო ვაჭრობა (იმპორტ-ექსპორტის მოცულობა, ზრდის/კლების ტენდენციები, ძირითადი პროდუქცია და მიმწოდებლები), იმ სფეროების მითითებით, რომლებშიც შეიმჩნევა იმპორტის მოცულობის ზრდა
– ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილება საინვესტიციო თუ სამშენებლო პროექტებში

ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები

– ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლების მიმოხილვა
– მოკლე ცნობა საქართველოსთვის ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელობის შესახებ (ბაზრის მოცულობა, ზრდის პერსპექტივები, პოლიტიკური ვითარება და ა.შ.)
– ადგილობრივი ფინანსური სისტემის, მარკეტინგული და სადისტრიბუციო სისტემების, წახალისების მექანიზმების, დამკვეთი ჯგუფებისა და ორგანიზაციების დახასიათება
– კონკურენტთა ხელთ არსებული უპირატესობების ანალიზი
– ქართველი ექსპორტიორებისთვის რეკომენდაციების მომზადება ადგილობრივ ბაზარზე შეღწევასთან, დარჩენასთან ან ბაზარზე უკვე მოპოვებული წილის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებით მათ მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ
– ადგილსამყოფელი ქვეყნის ტურიზმის სექტორის განვითარების დონე და მისი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში; ერთობლივი თანამშრომლობის გზები
– წინა საანგარიშო პერიოდში მომზადებულ სამუშაო პროგრამაში, შემდგომ საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით მითითებული პროგნოზებისა და მიზნების

შესრულების ქრონოლოგიური ანალიზი, რათა გამოვლენილ იქნას ჩატარებული მუშაობის ხარისხი და დადგინდეს დასახული მიზნების შეუსრულებლობის ხელშემშლელი ფაქტორები, მათი გადალახვის გზების მითითებით
– მომავალ საქმიანობაში ნებისმიერი ცვლილების დასაბუთება და ამგვარი ცვლილების გამომწვევი მიზეზები
– რეკომენდაციები მომავალ საანგრიშო პერიოდთან დაკავშირებით

ჩატარებული საქმიანობის მიმოხილვა

– საქართველოდან (სამთავრობო სექტორიდან, ექსპორტიორებისგან, სხვა დაინტერესებული უწყებიდან და ა.შ.) მიღებული ეკონომიკური ხასიათის დავალებების/თხოვნების მიმოხილვა, რაოდენობა და მათი შესრულების მდგომარეობა
– საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ადგილსამყოფელი ქვეყნის წარმომადგენლებისგან მიღებული თხოვნების შინაარსი და მათი შესრულების მდგომარეობა
– საქართველოში ადგილსამყოფელი ქვეყნიდან განხორციელებული ეკონომიკური ხასიათის ვიზიტები/ღონისძიებები (პერიოდი, რაოდენობა, დელეგაციის შემადგენლობა, ვიზიტის მიზანი, შედეგები)
– საქართველოდან ადგილსამყოფელ ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური ხასიათის ვიზიტები/ღონისძიებები (პერიოდი, რაოდენობა, დელეგაციის შემადგენლობა, ვიზიტის მიზანი, შედეგები)
– წინადადებები სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით
– საქართველოდან ადგილსამყოფელ ქვეყანაში საანგარიშო წლის განმავლობაში გამოვლენილი ახალ იმპორტიორთა ჩამონათვალი, მათი საქმიანობის სფერო
– საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ეკონომიკური სამსახურის უშუალო მონაწილეობით მომზადებული და განხორციელებული საექსპორტო, საინვესტიციო თუ სხვა შეთანხმებების ჩამონათვალი და მოკლე დახასიათება
– საქართველოში ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები; და გამოვლენილი პოტენციური საინვესტიციო პროექტების რაოდენობა, დახასიათება და საქართველოში ინვესტირებასთან დაკავშირებიით მიღებული გადაწყვეტილებები
– საქართველოში ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული საქმიანობა
– გამართული გამოფენებისა და ბაზრობების რაოდენობა, საქართველოს სუბიექტების მონაწილეობით ჩატარებული მსგავსი ღონისძიებიების ცალკე მინიშნებითა და მომავალში მათში მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ რეკომენდაციების მომზადებით
– არსებულ სამართლებრივ ბაზაში განხორციელებული ცვლილებები
– ადგილობრივ ბიზნეს წრეებში და სამთავრობო უწყებებში შეძენილი მნიშვნელოვანი პირადი კონტაქტების რაოდენობა, მათი დეტალური აღწერით

დანართი 3

საქართველოში პოტენციური ინვესტორის გზამკვლევი

რესურსები

– გეოგრაფიული ადგილმდებარეობა
– ბუნებრივი რესურსები (ნედლეული, ენერგეტიკული რესურსები, წყლის რესურსები, მიწით სარგებლობის პირობები და ხარჯები)
– ადამიანური რესურსები (კვალიფიციური მუშახელი, სამუშაო ძალის საფასური)
– ფინანსური რესურსები (შიდა და საგარეო დაფინანსების შესაძლებლობები, კრედიტუნარიანობის შეფასება)

შიდა გარემოს დახასიათება

– ინფრასტრუქტურა (უპირატესობები ექსპორტის წარმოების თვალსაზრისით – საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი, კომუნალური (ელექტროენერგია, წყალი) დანახარჯები, გარემოსდაცვითი პრობლემები, ტელეკომუნიკაციები)
– ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა (ბანკები, სადაზღვევო სისტემა, საბაჟო მომსახურეობა და ა.შ.)
– უცხოელთათვის საცხოვრებელი პირობები (სავიზო პროცედურები, კლიმატური თავისებურებანი, სკოლები, ბინადრობა და ა.შ.)

საინვესტიციო კლიმატი

– პოლიტიკური სტაბილურობა
– საერთაშორისო რეიტინგები
– ფულადი და ეკონომიკური სტაბილურობა
– საქართველოში უცხოელთა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და წესები
– საინვესტიციო საქმიანობის წამახალისებელი გარემოებები
– საინვესტიციო პროექტის დამტკიცების პროცედურები
– საგადასახადო კანონმდებლობა (გადასახადები)
– შემოსავლებისა და კაპიტალის რეპატრიაციის წესები

საინვესტიციო შესაძლებლობები

– ადგილობრივი საინვესტიციო ორგანიზაციები ან სამრეწველო პარტნიორები და საინვესტიციო პროექტების მომზადებისა და განხორციელების პოტენციალი